# ახალგაზრდა ივერიელი

გაზეთი გამოდის 1921 წლიდან

19 იანვარი შაბათი 1991

№ 7 (11640)

ახალგაზრდული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ფასი 10 კაპ.


ეროვნული ბიბლიოთეკა

# 19 იანვარი მაცხოვრის ნათლისღების დღეა

დღეს ნათლისღებაა.

საქართველოს გაქრისტიანების ჟამს წმინდა ნინომ აღავლინა ლოცვა ქრისტესადმი, რომელშიც იგი მოიხსენია, როგორც ნათელღებული წყლისა და მიწისაგან: „ნათელ-იღო ვითარცა მსახურმან ვინმე სჯულისამან წყლისა და მიწისაგან, ხოლო მამითა და სულით წმიდით ზეგარდმო იწამა და იდიდა, ჯუარს-ეცუა, დაეფლა და აღდგა“...

ამგვარად, იესომ თავისი ნათლობით მდინარეში საფუძველი დაუდო ქრისტიანთა ნათლობას. ყოველი მორწმუნე ქრისტიანი ინათლება, რათა საიქიო სასუფეველში მოხვდეს და სამუდამოდ ცხონდეს.

ადრე ნათელღებულნი საზეიმო სვლით მიემართებოდნენ ტაძრისაკენ, ახლა ეს სიმბოლოები შეცვლილია ნათლობის ემბაზის გარშემო შემოვლითა და ლიტანიით.

ბოლო წლებში ჩვენმა ეკლესიამ აღადგინა უძველესი ქართული წესი მდინარეში განათვლისა. მასობრივი ნათლობები ეწყობა ხოლმე მცხეთაში, მტკვარზე (სწორედ მცხეთაში, მტკვარზე მოხდა ქართველი ერის გამაქრისტიანებელი პირველი ნათლობა).

ნათლობისათვის ეკლესიას განსაკუთრებული დღეები აქვს დაწესებული, მანამდე კი ყოველი მორწმუნე, რომელსაც სურს გაინათლოს, სერიოზულად უნდა მოემზადოს ღვთის ამ უდიდესი საიდუმლოსათვის.

**გილოცავთ ნათლისღებას, განცხადებას უფლისა ჩვენისა და მაცხოვრისა — იესო ქრისტესი.**

# ომი აგრესორის წინააღმდეგ

**ვაშინგტონი.** ამერიკის შეერთებულმა შტატებმა 17 იანვარს ზუსტად 03 საათზე ბაღდადის დროით დაიწყო საომარი მოქმედება ერაყის წინააღმდეგ.

პრეზიდენტის პრესმდივანმა მარლინ ფიცუოტერმა პრესისათვის გაკეთებულ მოკლე განცხადებაში თქვა: „ქუვეითის განთავისუფლება დაიწყო. კოალიციაში ჩვენი პარტნიორების ძალებთან ურთიერთმოქმედებით შეერთებულმა შტატებმა დაიწყო საომარი მოქმედება კოდური სახელწოდებით — ოპერაცია „შტორმი უდაბნოში“, რათა მიაღწიოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს მანდატის შესრულებას.

ტელევიზიის არხებით ქვეყანას მიმართა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ერაყის საწინააღმდეგო კოალიციის სახელმწიფოები იძულებული გახდნენ ძალა გამოეყენებინათ მხოლოდ მას შემდეგ, რაც ამოწურეს კრიზისის მოწესრიგების ყველა პოლიტიკური საშუალება.

**ვაერო.** გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა ჰავიერ პერეს დე კუელიარმა დიდი სინანული გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ დაიწყო ამერიკის შეერთებული შტატების საომარი მოქმედება სპარსეთის ყურის რაიონში. ჩემი მთელი მეცადინეობის, აგრეთვე ბევრი ქვეყნის მეცადინეობის მიუხედავად, ომი მაინც დაიწყო, განუცხადა მან ჟურნალისტებს.

**კაირო.** ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალებმა განაახლეს საჰაერო დარტყმები ერაყისა და ოკუპირებული ქუვეითის ტერიტორიებზე მდებარე ობიექტებზე, იუწყება მენას სააგენტო. ამ დარტყმების მთავარი სამიზნეა ერაყის სამხედრო საჰაერო ძალების ბაზები.

ახალი საავიაციო თავდასხმა დაბომბვათა პირველი ტალღიდან ორი საათის შემდეგ განმეორდა.

**კაირო.** მოკავშირე ავიაციის თავდასხმათა პირველი ტალღის დროს მძიმე ზარალი განიცადეს ერაყის არმიის ყველაზე ბრძოლისუნარიანმა ელიტურმა ნაწილებმა — რესპუბლიკურმა გვარდიამ და სადამ ჰუსეინის პირადი დაცვის ნაწილებმა, იუწყება ისრაელის რადიო, რომელიც იმოწმებს ამერიკის სამხედრო წყაროებს.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის **ზვიად გამსახურდიას**

# განცხადება

უცხოეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის

სავსებით ვიწონებ ამერიკის შეერთებული შტატების და ანტიერაყული კოალიციის მოქმედებას კაცობრიობის მტრის სადამ ჰუსეინისა და მისი დამქაშების ასალაგმავად. საერთაშორისო სამართლის უხეში დარღვევები, სხვა ქვეყნის ანექსია, დღეს არავის არ უნდა შერჩეს.

შეშფოთებას გამოვთქვამ მხოლოდ, ქიმიური ცენტრების დაბომბვამ გამოუსწორებელი ეკოლოგიური ზიანი არ მოუტანოს რეგიონს და მის მეზობელ ქვეყნებს. ჩემის აზრით, საჭიროა კონტრზომების მიღება ეკოლოგიური კატასტროფის თავიდან ასაცილებლად ერაყის მეზობელ ქვეყნებში.

საქინფორმი

# რაფიკ ნიშანოვი: ავტონომიური ოლქის სტატუსის საკითხი რესპუბლიკის პრეროგატივაა

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს სესიის დავალებით, 17 იანვარს თბილისში ჩამოვიდნენ სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე **რ. ნ. ნიშანოვი** და სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს კომისია, რომელშიც შედიან **ვ. ა. შეხოვცოვი, ლ. ა. გორშკოვი, ც. ნიმბუევი.** ისინი შეხვდნენ და ესაუბრნენ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ზ. კ. გამსახურდიას და რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელებს, აგრეთვე ქალაქ ცხინვალის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს.

საუბრების დროს შეეხნენ შიდა ქართლის ტერიტორიაზე შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებულ საკითხებს. კერძოდ, საქმიანი და კონსტრუქციული სჯა-ბაასი გაიმართა ქალაქ ცხინვალსა და ჯავის რაიონში მართლწესრიგის უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ. განიხილეს კონკრეტული წინადადებანი, რომელთა მიზანია კონფლიქტის შეწყვეტა, რეგიონში სიტუაციის ნორმალიზაცია.

შეეხო რა სსრ კავშირის პრეზიდენტის 1991 წლის 7 იანვრის ბრძანებულებას, რ. ნ. ნიშანოვმა აღნიშნა, რომ შეიარაღებულ ფორმირებათა რიცხვში, რომლებიც გამოყვანილ უნდა იქნენ საგანგებო წესების რაიონიდან, არ იგულისხმება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ნაწილები. ხაზგასმით აღინიშნა, რომ საჭიროა გაძლიერდეს ღონისძიებანი, რათა ექსტრემისტულ დაჯგუფებებს იარაღი ჩამოერთვათ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადგილობრივი და დამატებით შეყვანილი ქვეგანაყოფების, აგრეთვე რეგიონში მყოფი სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების ძალებით. ილაპარაკა რა ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სტატუსზე, სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარემ დაადასტურა, რომ ამ საკითხის გადაწყვეტა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეროგატივაა.

საქართველოში რ. ნ. ნიშანოვის ყოფნის დროს გაიმართა აგრეთვე შეხვედრები რესპუბლიკის მოსახლეობასთან — ქართველებთან, ოსებთან, სხვა ეროვნებათა წარმომადგენლებთან.

იმავე დღეს რ. ნ. ნიშანოვი თბილისიდან გაემგზავრა.

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს კომისია განაგრძობს თავის მუშაობას.

საქინფორმი







# მიტინგი მთავრობის სახლთან

**„მრგვალი მაგიდის“** პოლიტიკური გაერთიანების ინიციატივით 17 იანვარს თბილისში მთავრობის სახლთან გაიმართა მრავალათასიანი მიტინგი, რომელზეც გამოვიდნენ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კანონმდებლობისა და კანონიერების დაცვის მუდმივი კომისიის თავმჯდომარე ნუგზარ მოლოდინაშვილი, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრები ვიქტორ დომუხოვსკი, მღვდელი მამა არჩილი, კონსტრუქტორი ვიოლეტა ალბოროვა და სხვები, რომლებმაც თქვეს, რომ უნდა შეწყდეს სისხლისღვრა სამაჩაბლოში, მკვეთრად დაგმეს ოსი ექსტრემისტების, ცენტრში მოკალათებული მათი წამქეზებლებისა და მფარველების მოქმედება, სოლიდარობა გამოუცხადეს ლიტველ, ლატვიელ და ესტონელ ხალხებს.

მოიწონეს წინადადება, რომ შეიქმნას ქართველი, ოსი, სომეხი, რუსი მოსახლეობის წარმომადგენელთა ჯგუფი, რათა ისინი შეხვდნენ სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარეს რ. ნიშანოვს, რომელიც თბილისში ჩამოვიდა. მას უნდა გამოუცხადონ მტკიცე პროტესტი საქართველოს რესპუბლიკის საშინაო საქმეებში მოსკოვის უხეში ჩარევის და შიდა ქართლში მიმდინარე ამბების ტენდენციური, არაობიექტური გაშუქების გამო.

არის უმაღლესი სამსჯავრო, რომელიც ყველას თავისას მიუზღავს, აღნიშნა მიტინგზე გამოსვლისას საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ზვიად გამსახურდიამ. ამის კიდევ ერთი დასტურია მოვლენათა განვითარება წუხელ აგრესორი ერაყის მიმართ, რომელმაც ავაზაკურად დაიპყრო ქუვეითი. დაე, ეს ახსოვდეს ყველას, ვინც ანექსიისა და სხვა ხალხების ჩაგვრის პოლიტიკას ადგას. დაუბრუნდა რა სამაჩაბლოში შექმნილი ვითარების საკითხს, ორატორმა საქართველოს მილიციის მოქმედებაში გარკვეული თავშეკავება ახსნა მისი ჰუმანურობით, იმით, რომ მას არ სურს გამოიწვიოს სისხლისღვრა ადგილობრივ, მათ შორის ოს მოსახლეობაშიც, რითაც ასე უსინდისოდ სარგებლობენ ექსტრემისტები, ყოველნაირად რომ ამწვავებენ დაძაბულობას. მაგრამ მათი ავბედითი გეგმები, რომელთა მიზანია რესპუბლიკის პოლიტიკური რუკის შეცვლა, უსაფუძვლო, უტოპიურია და ამას უბრალოდ არ დაუშვებენ საქართველოში მცხოვრები ყველა ეროვნების წარმომადგენლები.

მიტინგი გვიან საღამომდე გაგრძელდა.

საქინფორმი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთიანობა, განახლება, ინტეგრაცია

### გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს, მის აღმატებულებას ბატონ ხავიერ პერეს დე კუელიარს!

**გამოვხატავ** რა ქართველი ხალხის ნებას, მაქვს პატივი შეგატყობინოთ, რომ ჩვენ მთლიანად ვიზიარებთ შეხედულებებსა და პოზიციას, რაც გამოხატული იყო ბალტიის რესპუბლიკების და რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საბჭოების თავმჯდომარეთა 1991 წლის 13 იანვრის მიმართვაში.

შესაბამისად ამისა მომეცით უფლება, თქვენო აღმატებულებავ, ვითვლებოდე ამ უაღრესად მნიშვნელოვანი დოკუმენტის კიდევ ერთ ხელმომწერად.

ღრმა პატივისცემით

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზვიად გამსახურდია.**

●

### ლატვიელ ჟურნალისტთა წერილი

**ძვირფასო** კოლეგებო!

ლატვიის ჟურნალისტები დიდ მადლობას გიძღვნით ყველა დემოკრატიულ გამოცემას, რადიო და ტელეპროგრამებს ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის ხალხთან სოლიდარობისათვის, რომლებიც იბრძვიან რეაქციული, დიქტატურისაკენ მიმსწრაფი ძალების ძალმომრეობის წინააღმდეგ. თქვენი წყალობით ჩაიშალა ბალტიისპირეთში მოვლენათა საინფორმაციო ბლოკის ორგანიზების ცდები.

მაგრამ გულისტკივილით და დიდი პროტესტის გრძნობით ვკითხულობდით, ვუსმენდით და ვუყურებდით აგრეთვე სიმართლესმოკლებულ, ტენდენციურ სტატიებსა და გადაცემებს ლიტვაში მომხდარი ტრაგედიისა და ლატვიასა და ესტონეთში მომავალი კატასტროფის შესახებ. აღშფოთების გარდა ვერაფერს ვერ გამოიწვევს ცენტრალური ტელევიზიის ეგრეთ წოდებული საინფორმაციო პროგრამის „ვრემიას" პოზიცია და „600 წამის" პირდაპირი პროვოკაციული ნაყალბევი. ასეთი და ამგვარი გადაცემები და პუბლიკაციები იწვევს მხოლოდ ვითარების გამწვავებას და შემდგომი სისხლისღვრის პირდაპირ საფრთხეს. ამიტომ მოგიწოდებთ თქვენ, ძვირფასო კოლეგებო, გააერთიანოთ მთელი ძალისხმევა რეაქციის ძალების სიცრუისა და პროვოკაციების მხილებისათვის, რომლებიც ყველაფრისათვის მზად არიან. ჩვენ გიწვევთ თქვენ — ჩამობრძანდით, ადგილზე გაეცანით მოვლენათა რეალურ მსვლელობას, გაესაუბრეთ ადამიანებს და ერთხელ კიდევ თვითონ დარწმუნდებით, თუ ვის მხარეზეა სიმართლე.

**ლატვიის ჟურნალისტთა კავშირი**

●

### პოლიტიკური პარტიებიდან გასულთა საზოგადოება „თანადგომა და ამაღლების" მიმართვა საქართველოს საზოგადოებრიობისადმი

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესის და უნეტარესის ილია II ლოცვა-კურთხევით შექმნილი პოლიტიკური პარტიებიდან გასულთა საზოგადოება „თანადგომა და ამაღლება" მოწოდებულია ხელი შეუწყოს საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენას, ეროვნულ-სახელმწიფოებრივ და კულტურულ-სამეურნეო აღმშენებლობას.

ამ მიზნით საზოგადოება „თანადგომა და ამაღლება" საქართველოს რესპუბლიკის ინტერესებიდან გამომდინარე ილვწის პოლიტიკური პარტიებიდან გასულთა და სხვა უპარტიო მოქალაქეთა გასაერთიანებლად, ეროვნული თვითშემეცნების, სარწმუნოებრივი და კულტურულ-ეკონომიკური აღორძინებისათვის, საყოველთაო სიმშვიდის დამკვიდრებისათვის.

საქართველოში ცეცხლითა და მახვილით შემოტანილმა კომუნისტურმა იდეამ თაობათა ცნობიერებიდან განდევნა ჭეშმარიტი სარწმუნოება. ამჟამინდელმა პოლიტიკურმა რეალობებმა ადამიანებს საშუალება მისცა დასტოვონ კომუნისტური პარტია, მაგრამ სკკპ რიგებიდან გასვლა არ ნიშნავს ათწლეულების განმავლობაში პრიმიტიული, ღვთო მსოფლმხედველობისა და ე. წ. ათეისტური აღზრდის შედეგებისაგან ადამიანთა აზროვნებისა და ქცევის მყისიერ განთავისუფლებას.

დღევანდელ ეთნიკურ და, საერთოდ, ადამიანთა შორის უკმაყოფილებაში ლომის წილი მასობრივ ე. წ. ათეისტურ აღზრდას მიუძღვის. იმპერიული ხელისუფლება, რომელიც აქამდე დევნიდა ყოველგვარ ეროვნულს და რელიგიურს, ამჟამად ამ წმინდა გრძნობებს ხალხთა გათიშვისა და იმპერიის შენარჩუნების იარაღად იყენებს. საქართველოში ამჟამინდელ, ჩვენთვის ისტორიულად უცხო ეთნიკურ და ე. წ. რელიგიური დაპირისპირების მიზეზებს საერთო არა აქვთ რა არც ეთნოსთან და არც რელიგიასთან — იგი მრავალწლიანი კომუნისტური იდეოლოგიის დიქტატის პირდაპირი შედეგია.

საქართველო მხოლოდ მაშინ განთავისუფლდება ამ რეაქციული იდეისაგან, როცა მისი შვილები, ყოფილი კომუნისტები და არა მარტო კომუნისტები, სულიერად შემობრუნდებიან ღმერთისაკენ და იწამებენ მას, როგორც უზენაეს ჭეშმარიტებას, მხოლოდ მაშინ დამყარდება საყოველთაო სიყვარული, სათნოება და დიდი შერიგება ჩვენს მრავალტანჯულ სამშობლოში.

დღეს, საზოგადოების, მათ შორის კომუნისტთა თუ ყოფილ კომუნისტთა ერთ ნაწილში არსებობს გულწრფელი აზრი იმის შესახებ, რომ ისინი, მიუხედავად მათი პარტიული კუთვნილებისა, შინაგანად ყოველთვის პატივს სცემდნენ სარწმუნოებას, ნაწილი კი აცხადებს, რომ ყოველთვის მორწმუნე იყო. საზოგადოებას „თანადგომა და ამაღლება" მიაჩნია, რომ თვით ფორმალური გაზიარებაც კი აქამდე ჩვენზე თავსმოხვეული სატანური იდეოლოგიისა, ვერ ეთავსება ჭეშმარიტ მორწმუნეობას.

საზოგადოების „თანადგომა და ამაღლება" კარი ღიაა ყველასათვის, ვინც განიზრახა შეიცნოს და დაადგეს ჭეშმარიტი სარწმუნოებისაკენ მიმავალ გზას. საზოგადოების კარი ღიაა იმ არაქრისტიანული რელიგიის მიმდევრებისთვისაც, რომლებმაც გადაწყვიტეს შემობრუნდნენ თავიანთ სარწმუნოებისაკენ, ისეთი სარწმუნოებისაკენ, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს ეროვნულ ინტერესებს, ქადაგებს კაცთმოყვარეობას, სათნოებას, არ აღვივებს ეროვნულ და რელიგიურ შუღლს. საქართველოში ყოველთვის იყო და კვლავაც იქნება დიდი დავით აღმაშენებლისეული რაინდული რელიგიური შემწყნარებლობა და ჰარმონია.

საზოგადოება „თანადგომა და ამაღლება" საქვეყნოდ აცხადებს, რომ საქართველოს განთავისუფლების იდეა მაღალზნეობრივი წმიდათა-წმიდა მიზანია, რომლის განხორციელება არამცდაარამც არ შეუძლია საზოგადოების მხოლოდ ერთ რომელიმე თავდადებულ ნაწილს. ამ იდეის ჭეშმარიტი თავისუფლების მწვერვალზე ამაღლება და დამკვიდრება ხელეწიფება მხოლოდ სრულიად საქართველოს მოსახლეობის სულიერ ერთობას, ურთიერთსიყვარულსა და სათნოებას.

ამჟამინდელ ქართულ პოლიტიკურ აზროვნებას არ გააჩნია საქართველოს განთავისუფლებისა და სახელმწიფოებრიობის აღდგენის იდეაზე უფრო მაღალზნეობრივი და ერისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე იდეა. ამ იდეის განხორციელებისათვის უპირისპირდებოდა საქართველოს კომუნისტურ ხელისუფლებას ქართული ეროვნული მოძრაობა, ამისათვის ილვწიან დღეს საქართველოში არსებული პოლიტიკური პარტიები. აქედან გამომდინარე, საზოგადოება „თანადგომა და ამაღლება" არ მიესალმება კომუნისტური პარტიის მიერ სახელის შეცვლას და იმ იდეის გათავისებას, რომლისთვისაც მას ებრძოდნენ, ან პარტიის რიგებიდან გასულთა მიერ საქართველოში ახალი პოლიტიკური პარტიის შექმნას. მას უფრო ზნეობრივად მიაჩნია საქართველოს ყოფილმა კომუნისტებმა თავიანთი პოლიტიკურ-მოქალაქეობრივი ნებისა და ინტელექტუალური პოტენციალის რეალიზაციას უკვე არსებულ ეროვნულ პოლიტიკურ პარტიებთან თანამშრომლობით, მათში შესაძლო გაწევრიანებით ან საზოგადოება „თანადგომა და ამაღლებაში" გაერთიანებით მიაღწიონ.

**საზოგადოების პრეზიდენტი თეიმურაზ ქორიძე**

მიმართვა მიღებულია პოლიტიკურ პარტიებიდან გასულთა საზოგადოება „თანადგომა და ამაღლების" დამფუძნებელ კრებაზე.

●

### შიმშილობა მოსკოვში.

**მოსკოვი,** 16 იანვარი (საქინფორმის სპეც. კორ. მარინე რონდელი). 10 იანვრიდან 43 კაცი განაგრძობს საპროტესტო შიმშილობას საქართველოს რესპუბლიკის მოსკოვის მუდმივი წარმომადგენლობის შენობაში. ჯანმრთელობის მკვეთრი გაუარესების გამო ხუთმა კაცმა შეწყვიტა აქცია, ერთი მათგანი ჰოსპიტალიზებულია. ისინი მოითხოვენ შეაჩერონ სსრ კავშირის პრეზიდენტის 1991 წლის 7 იანვრის ბრძანებულება, დაგმონ კრემლის ხრიკები საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ, დაუყოვნებლივ შეწყვიტონ დიქტატი ყველა რესპუბლიკების მიმართ.

მოშიმშილეთა შორის არიან ქართველი, ოსი და ქურთი ეროვნების წარმომადგენლები, ესენი არიან ექიმები, მუშები, მეცნიერები და დიასახლისები, მათ შორის საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ორი წევრი.

●

### საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ბატონ ზვიად გამსახურდიას

ვითვალისწინებთ რა ქვეყანაში შექმნილ საგანგებო მდგომარეობას, მოგმართავთ წინადადებით საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოსთან შეიქმნას საკონსულტაციო საბჭო, რომელშიც შევლენ საქართველოში მოქმედი პარტიებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციების წარმომადგენლები. საბჭოს დანიშნულებას უნდა შეადგენდეს ხელისუფლებისათვის რეკომენდაციების მომზადება ყველა იმ საკითხთან დაკავშირებით, რომლებიც წამოიჭრებიან ქვეყნის წინაშე შექმნილ კრიტიკულ სიტუაციაში. ამ გზით, შესაძლოდ გვეჩვენება, არსებულ პოლიტიკურ ძალთა კონსოლიდაცია და შეცდომათა მაქსიმალურად თავიდან აცილება.

**პოლიტიკური კავშირის ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტია/დასის გამგეობა**

**საქართველოს ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის მთავარი კომიტეტი.**

●

### საქართველოს ეროვნული ფრონტი — რადიკალური კავშირის განცხადება

საბჭოთა ჯარების აგრესიამ ლიტვის რესპუბლიკაში და 1991 წლის 12 იანვრის ღამეს მშვიდობიანი მოსახლეობის სისხლიანმა დარბევამ საბოლოოდ ჩამოგლიჯეს ცივილიზებულობისა და დემოკრატიულობის ნიღაბი სსრკ კომუნისტურ მმართველებს მიხეილ გორბაჩოვის მეთაურობით. ამ აგრესიის მიზანია რესპუბლიკებში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობების განადგურება, ადამიანთა დაშინება და აქედან გამომდინარე კრემლის იმპერიული რეჟიმის ხსნა. იგი მიმართულია თავისუფლებისათვის მებრძოლი ყველა ხალხების, მათ კანონიერად არჩეულ უზენაეს ხელისუფლებათა წინააღმდეგ.

დღეს მთელი მსოფლიო მოვალეა მკაფიოდ გამოხატოს თავისი დამოკიდებულება ბალტიის ქვეყნებში მომხდარი მოვლენებისადმი. დღეს ყველამ საჭიროა ზუსტად განსაზღვროს თავისი პოზიცია, ვის დაუჭიროს მხარი, დაპყრობილი ხალხის სამართლიან ბრძოლას თუ მათ დამპყრობელთ. ყველამ უნდა გაითვითცნობიეროს მარტივი ჭეშმარიტება: „როდესაც რეკს ზარი ნუ იკითხავ ვისთვის რეკს.. იგი ჩვენთვისაც რეკს".

სეფ-რკ მთლიანად უჭერს მხარს ლიტველი ხალხის, მისი უზენაესი საბჭოს ბრძოლას ლიტვის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის, იზიარებს მის მწუხარებას და გამოთქვამს რწმენას, რომ მიუხედავად ყოველივესი, ბრძოლა თავისუფლებისათვის გაგრძელდება საბოლოო გამარჯვებამდე.

გაუმარჯოს თავისუფალ ლიტვას!

გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს!

ჩვენ გავიმარჯვებთ.

**საქართველოს ეროვნული ფრონტი — რადიკალური კავშირის მთავარი კომიტეტი.**

**13 იანვარი, 1991 წელი.**

●

### საქართველოს ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის მიმართვა საქართველოს თავისუფალ რესპუბლიკელთა ფედერალური კონფერენციისადმი

28 ოქტომბერს საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში ახალი ერა დაიწყო. მიმდინარეობს პოლიტიკურ ორგანიზაციათა ბუნებრივი გაერთიანება. ჩვენის მხრით მიგვაჩნია, რომ გაერთიანება უნდა მოხდეს არა ხელოვნურად, ან რაიმე ქვენა გრძნობების გამო, არამედ იდეურ და პოლიტიკურ საფუძველზე. ამიტომ მოგმართავთ თქვენ, საქართველოს თავისუფალ რესპუბლიკელთა ფედერალური კავშირის დამფუძნებელ კონფერენციას, რათა გაფორმდეს ჩვენს ორგანიზაციებს შორის პოლიტიკური ალიანსი.

ამასთან, ჩვენის აზრით, ეს ალიანსი უნდა დარჩეს პოლიტიკურ ბლოკ „თავისუფლებაში".

**საქართველოს ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის მთავარი კომიტეტი: ბადრი მაჭავარიანი, ამირან ძოწენიძე, ზვიად დოლიძე, ვაჟა დურმიშიძე, დავით გამყრელიძე, ლევან ურუშაძე.**

●

### საბჭოთა კავშირის პრეზიდენტს მიხეილ გორბაჩოვს

**ბატონო პრეზიდენტო!**

უკანასკნელ ხანს განვითარებულმა მოვლენებმა ნათლად დაგვანახა თუ რა არის თქვენსა და იმ პოლიტიკური წრეების მიერ გამოცხადებული ყბადაღებული გარდაქმნა, რომელსაც წარმოადგენთ. მთელი ეს პროცესი ემსახურება ტოტალიტარული ქვეყანამპყრობელის რეამინაციას და საბჭოთა სტრუქტურის შენარჩუნებას, რომელიც თავს მოახვიეს სსრკ შემადგენლობაში ძალდატანებით შეყვანილ უკლებლივ ყველა ხალხს.

ბატონო პრეზიდენტო!

ის, რაც ამ ბოლო დროს მოხდა, გვარწმუნებს, რომ კრემლის დღევანდელი პოლიტიკა თავისი არსით არაფრით განსხვავდება ლენინ-სტალინ-ბრეჟნევის პოლიტიკური კურსისაგან. თავს უფლებას მივცემთ, მოგაგონოთ რამდენიმე ისტორიული ფაქტი: 1921 წელი—საქართველოს ანექსია, 1929-40 წ. წ. ბალტიის ქვეყნების ძალდატანებითი ინკორპორაცია სსრკ-ს შემადგენლობაში, 1956 წელი — ინტერვენცია უნგრეთში, 1968 წელი — ჩეხოსლოვაკიის ოკუპაცია, 1980 წელი — სამხედრო აგრესია ავღანეთის წინააღმდეგ. არ გვსურს, ვიმსჯელოთ, თუ რას წარმოადგენს თქვენი პოლიტიკისათვის ლიტვაში მომხდარი სისხლიანი ტრაგედია, ჩვენთვის კი იგი არის ველიკოდერჟავული ამბიციების გამოვლინება. იმპერიას არ სურს, გაიგოს ერების სწრაფვა დამოუკიდებლობისაკენ. ამ გაუგებრობის შედეგია ის, რომ დღემდე საბჭოთა ქვეყანამპყრობელის ხელისუფლები ეყრდნობით თქვენსავე შექმნილ „მეხუთე კოლონებს" და მათი შემწეობით ამყარებთ ძალადურ რეჟიმს. ასე იყო 1917 წლის ბოლშევიკური გადატრიალების შემდგომ, ასე გრძელდება დღესაც. ლიტვის დღევანდელი ბედი სავსებით შესაძლებელია გაიზიაროს ლატვიამ, ესტონეთმა, საქართველომ და ყველა რესპუბლიკამ, რომელიც ესწრაფვის დამოუკიდებლობას. ყველგან მოქმედებენ გახელებული, თქვენს მიერ წაქეზებული ექსტრემისტული ძალები, სამხედრო თუ სამოქალაქო სამოსელში გამოწყობილები. ამგვარი ქმედება სხვა არაფერია, თუ არა სახელმწიფოებრივ რანგში აყვანილი ტერორიზმი.

ბატონო პრეზიდენტო!

ყველა ქმედება თავისუფლებისმოყვარე ერების წინააღმდეგ თქვენს მიერ ცხადდება შიდასახელმწიფოებრივ საკითხად, რომლის მოგვარება მიგაჩნიათ მხოლოდ და მხოლოდ საბჭოთა ქვეყანამპყრობელის პრობლემად. არ გსურთ გაიგოთ, რომ საბჭოთა კავშირის არსებობამ აზრი დაკარგა. დღეს იგი ბოლოსდაბოლოს ყველას დასანახად იქცა ქვეყანად, როგორსაც წარმოადგენდა თავისი არსებობის მანძილზე — ჰუმანურობისა და დემოკრატიის უსაკუთიკეს მოწინააღმდეგედ. მაგრამ თქვენს მიერ არჩეული გზა დინების საწინააღმდეგოდ მიემართება — მსოფლიო თანაარსებობის ხსნას პიროვნებისა და ერის თავისუფლების პრინციპების ცხოვრებაში განხორციელება წარმოადგენს. სხვა გამოსავალი არ არსებობს.

მიიღეთ ჩვენი განცხადება როგორც საბრალდებო აქტი.

**საქართველოს თავისუფალ რესპუბლიკელთა ფედერალური კავშირის საინიციატივო ჯგუფის სახელით,**

**ირაკლი შენგელაია**

**16. 01. 1991 წელი.**

●

### მადლობა მშობელ ხალხს

საქართველოს მილიციის თანამშრომლებს, რომლებიც ამ დღეებში შიდა ქართლში ვიხდით სამსახურეობრივ და მამულიშვილურ ვალს, რწმენასა და ძალას გვმატებს ის მშობლიური ზრუნვა, მორალური და მატერიალური მხარდაჭერა, რასაც ჩვენი ხალხი იჩენს თავისი მილიციისადმი. ზამთრის ამ ცივ დღეებში გულსა და სხეულს გვითბობს რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხიდან გამოგზავნილი ნობათები.

საქართველოს მილიციის მუშაკები დიდ მადლობას ვუხდით ყველა იმ ქალაქისა და სოფლის მოსახლეობას, საწარმოების, უწყებების, ორგანიზაციების შრომით კოლექტივებს, თითოეულ ადამიანს, ვინც ჩვენი სამშობლოსათვის ამ ძნელ დღეებში არ გვაკლებს ყურადღებას, მხარდაჭერასა და დახმარებას.

მშობელი ხალხის ამ დიდი ზრუნვის პასუხად მილიციის მუშაკები ძალასა და ენერგიას, სიცოცხლესაც კი არ დავიშურებთ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, რეგიონში წესრიგის აღდგენისა და მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის.

**შიდა ქართლში მყოფი საქართველოს მილიციის თანამშრომლები.**

**საქინფორმი**

●

### საქართველოს სახელმწიფოებრივი აღდგინების პარტიის განცხადება

ხუთშაბათს, 1991 წლის 17 აპნისს (იანვარს) ეროვნული კონგრესის მორიგი სხდომის დროს, დაარბიეს ეროვნული კონგრესის წევრი-ორგანიზაციის, საქართველოს სახელმწიფოებრივი აღდგინების პარტიის შტაბ-ბინა. კერძოდ კი შემტვრიეს კარები, ჩაამსხვრიეს მინები და აყარ-დაყარეს ინვენტარი.

ჩვენ ვთვლით, რომ ამგვარი ქმედება რეაქციული ძალების მიერაა გათვლილი და ინსპირირებული. რატომღაც ასეთი ფაქტები ხდება იმ დროს, როდესაც მიმდინარეობს კონგრესის თავყრილობები. დღეს, როდესაც პირსისხლიანი იმპერია ლიტვის შემ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ქრონიკა, განცხადება, ინფორმაცია**

დეგ მორიგ მსხვერპლს ,ეძებს, მსგავსი ინციდენტის მოწყობა ხელს უწყობს საქართველოში პოლიტიკურ მიმდინარეობათა შორის კონფრონტაციის გაღრმავებას. ყოველივე ეს კი თავის მხრივ საბაბს აძლევს იმპერიას, საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ ცხოვრებაში, ჩაერიოს გამშველებლის ნიღბით, რასაც თუ რა შედეგები მოჰყვება, ყველას კარგად მოეხსენება.

ჩვენ ვგმობთ ამგვარ ფაქტებს და მოვუწოდებთ რეაქციონერებს მოეგონ გონს და შეწყვიტონ ბარბაროსული ქმედებები, რომლებიც ერთნაირად აღაშფოთებს საქართველოსათვის კეთილის მსურველ ყველა ადამიანს. მსგავსი ფაქტების განმეორების შემთხვევაში მივმართავთ უკიდურეს საპროტესტო აქციებს.

პარტიის სახელით:

**გიორგი ცხვედაძე, თამაზ ღრუბელაშვილი, დავით ონანაშვილი, აკაკი მაჭავარიანი, ავთო კენჭოშვილი, რაგული რუხვიაშვილი, სერგო ურიადმყოფელი.**

●

## ლიტვის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ვიტაუტას ლანდსბერგისს,

## ლიტვის თავისუფლების ლიგას — ანტანას ტერლიაცკასს

ღრმად შეგვძრა მოვლენებმა ლიტვაში. გითანაგრძნობთ და თქვენთან ერთად ვგლოვობთ საბჭოთა ოკუპანტების ხელით დაღუპულ გმირ ლიტველებს. ჩვენ კარგად გვესმის ის სიძნელეები, რომელიც თქვენ უნდა გადალახოთ, მაგრამ ჭეშმარიტება გაიმარჯვებს და ლიტველი ხალხი მიაღწევს დამოუკიდებლობას. ილია ჭავჭავაძის საზოგადოება ყოველთვის იყო და იქნება სოლიდარული თქვენთან დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის თქვენს სამართლიან ბრძოლაში. ღმერთი გფარავდეთ!

**ილია ჭავჭავაძის საზოგადოება**

●

## „ღირსება სიცოცხლეზე მეტია"



საქართველოს მწერალთა კავშირში უკვე მეცხრე დღეა შიმშილობს პოეტი ბადრი გუგუშვილი. მისი მოთხოვნები ასეთია:

1. გაუქმდეს საბჭოთა კავშირის პრეზიდენტის 1991 წლის 7 იანვრის ბრძანებულება ე. წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიიდან ქართული მილიციის ქვეგანყოფილების გამოყვანის შესახებ;

2. შეწყდეს შიდა ქართლის ტერიტორიაზე ოს ექსტრემისტთა მხრიდან ცენტრის მიერ ინსპირირებული ტერორი იქ მცხოვრები ქართველებისა და ოსების წინააღმდეგ;

3. საბჭოთა კავშირის მთავრობამ შეწყვიტოს საქართველოს შინაგან საქმეებში ჩარევა. არცერთ შემთხვევაში არ იქნას დაშვებული საბჭოთა კავშირის არმიის დამატებითი ნაწილების შემოყვანა საქართველოში;

4. შეწყდეს საქართველოში მცხოვრები ჭაბუკების ძალით გაწვევა საბჭოთა კავშირის საოკუპაციო, იმპერიულ არმიაში.

ეს მოთხოვნები მან, გაუგზავნა სსრკ პრეზიდენტს მიხეილ გორბაჩოვს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, საქართველოს უზენაეს საბჭოს, საქართველოს ტელევიზიასა და გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოს".

ბატონმა ბადრიმ განაცხადა; იმის გამო, რომ ბევრს ბოლომდე არ ესმის ჩვენი ბრძოლის სიღრმე, შიმშილობის აქციის მიმართ უარყოფით პოზიციას ამჟღავნებს.

უკვე დროა ყველა ქართველმა გაიგოს: მამულისათვის ყველამ იმ საშუალებით უნდა იბრძოლოს, რითაც შეუძლია:

ჩაიწერა
**ნატო კალმახელიძემ**

# უცხოელი მოღვაწეები გამოთქვამენ შეშფოთებას ლიტვაში შექმნილი ვითარებით

**სტოკჰოლმი.** ძირითადად ლიტვაში შექმნილი სიტუაციისადმი მიძღვნილი რიგგარეშე სხდომა გამართა შვეციის საგარეო პოლიტიკურმა კომიტეტმა — კაბინეტსა და პარლამენტის პარტიებს შორის კონსულტაციების ფორუმმა. სხდომის შედეგების გამო შვეციის მთავრობამ მიიღო განცხადება, რომელშიც გმობს ვილნიუსში მომხდარ ამბებს.

იმავე დღეს, საღამოს შვეციის მთავრობის მეთაური ინგვარ კარლსონი გამოვიდა ბალტიისპირეთის ხალხებთან სოლიდარობის მანიფესტაციაზე, რომელიც სტოკჰოლმში გაიმართა შვეციის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ინიციატივით. მან მოსთხოვა საბჭოთა ხელისუფლებას აღიარონ ბალტიისპირეთის ხალხების თვითგამორკვევის უფლება და შეწყვიტონ ძალადობა ბალტიისპირეთის რესპუბლიკების წინააღმდეგ.

**რომი.** „ის, რაც ვილნიუსში მოხდა, ევროპისათვის ნამდვილი დიდი ტრაგედიის ტოლფასია, — განაცხადა გუშინ ტურინში მეწარმეთა ჯგუფთან შეხვედრის დროს იტალიის პარლამენტის სენატის თავმჯდომარემ ჯ. სპადოლინიმ. — — საერთო ევროპული სახლის მთელი პროექტი შეიძლება დაიშალოს.

**მადრიდი.** ესპანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ფრანსისკო ფერნანდეს ორდონიესმა ძალზე სერიოზული უწოდა ლიტვაში მომხდარ ამბებს. ესპანეთის ეროვნული რადიოსათვის გაკეთებულ განცხადებაში ბრიუსელიდან დაბრუნების შემდეგ, სადაც იგი ორშაბათს მონაწილეობდა ევროპის გაერთიანების საბჭოს საგანგებო სესიაში, ესპანეთის დიპლომატიის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ დასავლეთმა არ უნდა მიიღოს ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებმაც შეიძლება დააჩქარონ გარდაქმნის დასასრული.

**ბონი.** გაიმართა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკის ბუნდესტაგის საგანგებო სხდომა, რომელიც მიეძღვნა სიტუაციას სპარსეთის ყურის რაიონში. სრულიად გერმანიის პარლამენტის მუშაობას თავისი კვალი დააჩნია, აგრეთვე, ბალტიისპირეთში მომხდარმა ამბებმა. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერალურმა კანცლერმა ჰელმუტ კოლმა გააკეთა მთავრობის განცხადება და ამასთან დაკავშირებით ხაზგასმით აღნიშნა, რომ პარლამენტარები მიმდინარე წელს თავიანთ პირველ სხდომაზე შეიკრიბნენ მშვიდობისა და ადამიანის უფლებებისათვის დიდი შეშფოთების გრძნობით.

გამოსვლის მნიშვნელოვანი ნაწილი ჰ. კოლმა მიუძღვნა ბალტიისპირეთის ამბებს. ჩვენ მხარს ვუჭერთ მშვიდობას, ადამიანის უფლებების პატივისცემას და ვილაშქრებთ მთელ მსოფლიოში ძალმომრეობის გამოყენების წინააღმდეგ, თქვა მან. ამიტომ გვიჭირავს არაორჭოფული პოზიცია ლიტვაში გასული კვირის დამლევს განხორციელებული ძალმომრეობის მიმართ. ჩვენ ვწუხვართ მოკლულთა და დაჭრილთა გამო და თანავუგრძნობთ მათ ნათესავებსა და ახლობლებს. დიდად გვაწუხებს საბჭოთა კავშირში გარდაქმნის, რეფორმებისა და „ახალი აზროვნების" პოლიტიკის მომავალი, რამაც განვლილ წლებში სსრ კავშირს დიდი საერთაშორისო ავტორიტეტი მოუხვეჭა, დასახა თანამშრომლობის ახალი, მრავლისაღთქმელი პერსპექტივები. იმედია, რომ ურთიერთგაგების ნებით აღსავსე დიალოგი მოსკოვსა და ვილნიუსს შორის კვლავ გაიმართება. ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ მომავალი ეკუთვნის მხოლოდ დემოკრატიას, ადამიანის უფლებებსა და სამართლებრივ სახელმწიფოებრიობას.

**ვაშინგტონი.** მორიგი ბრიფინგების დროს, რომლებიც ოთხშაბათს მოეწყო თეთრ სახლსა და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტში, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის პრესმდივანმა მ. ფიცუოტერმა კითხვაზე, როგორ აფასებს ადმინისტრაცია ბალტიისპირეთში შექმნილ სიტუაციას, უპასუხა: „ჩვენ ძლიერად მიგვაჩნია ჩვენი რეაქცია. ნებისმიერი დიპლომატიური სტანდარტებით გამოვიყენეთ უაღრესად მკაცრი განცხადებები. საჭიროდ ვთვლი დღეს მათ განმეორებას".

პრეზიდენტის თანაშემწე შემდეგ შეეხო ბალტიისპირეთის ვითარებას და აღნიშნა, რომ „ამ მომენტისათვის ჩვენ ახალს ვერაფერს ვიტყვით. სიტუაცია საერთოდ წინანდელი რჩება. ჩვენ კვლავ თვალს ვადევნებთ მოვლენათა განვითარებას. სამხედრო ღონისძიებათა თვალსაზრისით ვითარება, თითქოს, რამდენადმე მშვიდი გახდა, მაგრამ არსებობს ჯერ კიდევ ბევრი საგანგაშო ფაქტორი, რომელთა შეფასებას განვაგრძობთ".

პრეზიდენტის პრესმდივანმა კითხვაზე: რა ახალი ამბებია უმაღლესი დონის შეხვედრის თაობაზე უპასუხა: „არავითარი. არაფერი არ შეცვლილა".

სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა მ. ტატუაილერმა განაცხადა, რომ სამშაბათ საღამოს სახელმწიფო დეპარტამენტის მრჩეველმა ბობ ზელიკმა, პოლიტიკის დაგეგმვის სამმართველოს უფროსმა დენის როსმა და სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მოადგილემ ევროპისა და კანადის საქმეთა საკითხებში კურტ კემენმა მიიღეს ესტონეთის მთავრობის წარმომადგენელი ინდო ლიპმაა. საუბრის დროს, რომელმაც თითქმის საათნახევარს გასტანა, ესტონეთის წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა შეერთებულ შტატებს მხარდაჭერისა და დაიმედებისათვის, რომ ამერიკის შეერთებული შტატები გამოიყენებს თავის ყველა შესაძლებლობას, რათა დახმარება გაუწიოს ბალტიისპირეთის რესპუბლიკებს, თუ სიტუაცია არ გაუმჯობესდება".

**საქდესი**

**ვილნიუსი.** დღეს ლიტვის რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს ეწვია ვლადიმერ ივანეს ძე ტარხანოვი. სწორედ ის პოდპოლკოვნიკი ტარხანოვი, რომელზეც გუშინ ილაპარაკა სსრ კავშირის ცენტრალურმა სატელეგორც ვიცით, „ვრემიამ" განაცხადა, რომ ასეთი პოდპოლკოვნიკი არ ირიცხება ვილნიუსის გარნიზონის პირადი შემადგენლობის სიებში, და მაშასადამე, მას არ შეეძლო ლიტვის რადიოთი ეთხოვა საბჭოთა არმიის ჯარისკაცებისა და ოფიცრებისათვის არ გამოეყენებინათ იარაღი მშვიდობიანი, უიარაღო მოსახლეობის წინააღმდეგ.

„აი ჩემი საბუთები. — ლიტვის პარლამენტის დეპუტატთა წინაშე გამოსვლისას მან დაადასტურა, რომ მსახურობს ვილნიუსის გარნიზონში. — მაგრამ მე არ ვემორჩილები ვილნიუსის გარნიზონის უფროსს გენერალ-მაიორ უსხოპჩიკს". ტარხანოვმა დაადასტურა, რომ ტექსტი, რომელიც გუშინ წაიკითხეს რადიოთი, მის მიერ არის დაწერილი. „ეს დამაწერინა ვილნიუსში კვირას მომხდარმა სისხლიანმა ამბებმა. მე არ მომიწოდებია ღალატათ ფიცისათვის. მე მოვუწოდებ არ იომონ მშვიდობიანი, უიარაღო ხალხის წინააღმდეგ", — დაასრულა თავისი გამოსვლა ლიტვის პარლამენტში პოდპოლკოვნიკმა ტარხანოვმა.

**ელტა-საქინფორმი.**

# რექვიემი სულისთვის, რომელიც არ კვდება

„მერაბ კოსტავას, როგორც მამულიშვილს და ეროვნულ მოღვაწეს, ქართველი ხალხის წინაშე წარდგენა არ სჭირდება... მაგრამ მის ნაცნობ—მეგობრების ვიწრო წრის კიდეგან უცნობია მისი პოეზია, მისი ლექსის გზნება და მადლი; არ უყვარდა მერაბს თავისი ლექსების პოპულარიზაცია, მიტინგებზეც იშვიათად თუ წაუკითხავს საკუთარი ლექსები" — ასე იწყება ზვიად გამსახურდიას წინასიტყვაობა, რომელიც მერაბ კოსტავას ლექსების კრებულს აქვს წამძღვარებული: ეს კრებული ახლახან გამოსცა გამომცემლობა „მერანმა" მერაბ კოსტავას ტრაგიკულად დაღუპვის წლისთავზე.

მერაბ კოსტავა... ქართული ასომთავრულით სამუდამოდ წარწერილი ჩვენი ხსოვნის კედელზე. მისი პოეზია კი ქარიშხალი, რომელსაც ხანდახან თუ ენაცვლება შემოდგომის მინორული ფერები, ღრმა სევდითა და ფიქრით გაჯერებული; ლექსები ყველაზე თვალსაჩინოდ წარმოაჩენენ მერაბ კოსტავას პიროვნების სიღრმეს... მისი სულის სიძლიერეს. ფაფარაშლილი ლომის ჯანყი, ამაყი და ამბოხი სულის ალსარება თავის სამყაროში ითრევს მკითხველს.

და იწყება მუსიკა ყოვლისმომცველი, მძლავრი, მერაბ კოსტავას ცხოვრებისა.

ჩვენს თვალწინ ცოცხლდება ყოველი მათგანი: ხანგრძლივი და შეუპოვარი ბრძოლა საქართველოს თავისუფლებისათვის, ბრძოლა სიმართლისათვის, ბრძოლა ადამიანისათვის და ამ გზაზე წამების ეკლები: გადასახლება, ციხე, მარტოობა. მაინც არ ტყდება პოეტის ვაჟკაცობა".

**„ვერაფერმა განაქარვოს**
**ხსოვნა გარდასულისა,**
**საიქიო, სააქაოც**
**სუნთქვა არის სულისა,**
**თუ გგონიათ დამაბერონ**
**წუთისოფლის ვალებმა,**
**ან როდესმე დავიჭირო**
**სულის გარდაცვალება".**

ამ სტრიქონების აზრი მის ყოველდღიურ ცხოვრებაში მართლდებოდა, რეალურ იერ-სახეს იძენდა, ბევრმა იცის, როგორ შეეძლო მერაბ კოსტავას მატერიალურ ყოფიერებაზე მაღლა დამდგარიყო და სულისმიერი გაეღმერთებინა.




ტანჯვა — ეს იყო მისი ხვედრი. საკუთარი პირმშოს სიკვდილი და კიდევ ბევრი სამსალა არგუნა განგებამ და მაინც უტეხია მისი სული. ამით იგი საოცრად ემსგავსება დოსტოევსკის, რომლის სულიერ ნათესაობას თვითონაც გრძნობს და რომელსაც უძღვნა შესანიშნავი ლექსი „ტანჯვათა ტიტანი".

აქ ტანჯვა მაღალ რეგისტრშია აყვანილი. მწერლისთვის დაკისრებულია ჯვარისუფლის როლი ადამიანთა ცოდვების მისატევებლად.

მიტევება მერაბ კოსტავასთვისაც უცხო არ იყო. ჭეშმარიტი ქრისტიანი მუდამ ხელს უწვდიდა მოყვასს. თავიდანვე დაუსახა საკუთარ თავს ასეთი დევიზი:

**„ნაჭუჭის კაცად ნუ გადიქცევი,**
**თორემ დინება წაგლეკს,**
**გაგრიყავს,**
**უტეხის რწმენით შენ არ**
**წაწყდები,**
**დაამცხრობ ღელვას, დათრგუნავ**
**ქარებს,**
**სად თანაგრძნობა, ვერას გახდება,**
**იქ თავგანწირვა გაგიღებს კარებს".**

„თვალები იგი სარკეა სულის...

ნიკორას თვალი სევდის გუბეა" — გულიდან ამოხდენია პოეტს. „მწუხარე სახის რაინდი" ხშირად უთქვამთ მასზე მავანთ და მავანთ. თვალებში მწუხარება ედგა, ფიქრით დასტრიალებდა საქართველოს. გულისნადები კი ლექსში გამოხატა:

„ნიკორას თვალმა გამხადა ავად" — ნიკორა საქართველოსთვის შეწირული რაინდის სახეა, როგორც უწინასწარმეტყველია პოეტს თავისი ბედი:

**„ო, ამ თვალებში ისმის შენდობა,**
**ის ზეციური სიწმინდით**
**მიმზერს,**
**იგი კუნძისკენ მიდის დანდობით,**
**იგი დანისკენ გაიშვერს კისერს".**

იდუმალი უხმობს პოეტს და ეს გზა ქრისტეს გზაა.

ღმერთის მზერის დანახვა მხოლოდ რჩეულთა ხვედრია. იმათი, ვინც კარგად იცის, რომ „კაცთაგან შეუძლებელი, შესაძლებელი არის ღვთისათვის"... და კიდევ:

**„არცოდნა აღარ გვეპატიება**
**იმის, თუ რაა გზა ღმერთისკენ,**
**ეს ურთიერთის არის ძიება,**
**იგი გზა არის ურთიერთისკენ".**
**(„იყავ უმწიკვლო, ვითა ცხოვარი").**

ამ გზაზე კი გოლგოთაა, მაგრამ ის არ აშინებს იმედიან პოეტს:

**„და დაფარული თუ გაცხადდების,**
**იმ პირველ სიტყვის მადლით**
**მთოვარი,**
**ღირსად მყავ შენი გამოცხადების,**
**დამბადებელო და მაცხოვარო".**

ერთ-ერთი უსათაურო ლექსი, რომელიც მაცხოვარს მიუძღვნა მერაბ კოსტავამ, იწყება ასე:

**„შენ გევედრები სულით**
**გლახაკი**
**ვინმე დევნილი სიმართლისათვის,**
**თუმც ვერ ვამრავლე სამსხვერპლო**
**სარკე,**
**ვეღარ გავიღე თავი**
**ღვთისათვისო".**

არა თუ თითქოს, არამედ მართლაც, მთელი სიცოცხლე შინაგანად ემზადებოდა მერაბ კოსტავა იმ დიდი საქმისათვის, იმ დიდი ზვარაკისთვის, რომელიც მის შემდგომ ცხოვრებაში გამომჟღავნდა.

ლექსი მერაბ კოსტავას სულის განუყოფელი ნაწილია. ასე რომ, რასაც ლექსში ვიგრძნობთ, ის რეალურ ცხოვრებაშია ნამოქმედარი და პირიქით.

პოეტს დიდება არასოდეს უძებნია, მხოლოდ მოყვასის სიყვარული, რასაც ურჩევს სხვებსაც:

**„დავგმოთ, დავთრგუნოთ**
**მომხვეჭელობა,**
**მალამო ნარვცხოთ წარსულ**
**იარებს,**
**და უზენაეს პირუთვნელობის**
**გაბრწყინებული გზებით ვიაროთ".**

საოცარი იდუმალი ძალითა და შინაგანი გზებით გამოირჩევა მერაბ კოსტავას ლექსები: „ძმას ქრისტესმიერს" და „ირაკლის". პირველი პოეტმა უძღვნა თავის მეგობარსა და თანამებრძოლს ზვიად გამსახურდიას, მეორე კი თავის შვილს ირაკლი კოსტავას.

**„შენ აღიმართე, ვითა პირველი,**
**დაშრეტილ რწმენით ჭირისუფალი**
**თვით ზეციერმა შეგართვა ძალი"**
**(„ძმას ქრისტესმიერს").**

ასე ესახება თავისი ქრისტესმიერ ძმა პოეტს. შვილის ტრაგიკული ბედი კი ფილოსოფიური სიღრმით არის გააზრებული:

**„არა წუწუნი, იქ არ გაისმა,**
**რამეთუ მჭვრეტდი სიღრმეს**
**გაუმხელს,**
**თავი მოიკალ, როგორც კლაისტმა**
**ვერთერულ განცდებს ვეღარ**
**წაუხველ".**

„მერაბში თითქოს ორი სული იბრძოდა ფაუსტის მსგავსად, მუსიკისა და პოეზიისა, ბოლოს პოეზიის სულმა იმძლავრა... თუმცა მისი ლექსი არ გაჰყრია მუსიკას, მუსიკის ტალღათა მძლავრი პულსირება საცნაურია მის სტრიქონებში" — ვკითხულობთ კრებულის წინასიტყვაობაში.

მერაბის სული იყო ზღვასავით მბორგავი და დაუცხრომელი; მზისკენ შემართული, როგორც ხელმარჯვე მშვილდოსნის ისარი...

„სად მიისწრაფი, სულო, დაიცა" — უთქვამს და ისდა კიდეც, ემთხვია ედემს... დაგვიტოვა მის მიერ ამოძრავებული ქართული სული თავისუფლებისა, დაგვრჩა მისი წერილები, ლექსების ეს ძვირფასი კრებული, რომელიც რატომღაც მოცარტის რექვიემს მაგონებს, შემოდგომის საოცრად სევდიანი დღის ფერებში გადაწყვეტილ მუსიკას.

რექვიემს სულისთვის, რომელიც არ კვდება.

**მიმოზა ქვირქვაია**

## წერილი პირველი

### მოკლე ფიზიკური და ეკონომიკურ-გეოგრაფიული მიმოხილვა

**უკანასკნელ წლებში გამწვავდა ეთნოკონფლიქტები მთელ საბჭოთა კავშირში. სამწუხაროდ ამ ტალღას ვერც საქართველო ასცდა. ყველასათვის ცნობილია ის კრიტიკული ვითარება, რომელიც შეიქმნა საქართველოს გულში — ისტორიულ შიდა ქართლში. ჩვენი მრავალრიცხოვანი მკითხველის და, მათ შორის, ახალგაზრდობის დიდ ინტერესს იწვევს საკითხები, თუ როგორ ჩამოყალიბდა ისტორიულად შიდა ქართლი, როგორ იცვლებოდა მისი საზღვრები, სახელწოდებანი, ეკონომიკა, სამიმოსვლო გზები, ვინ იყო მისი მკვიდრი მოსახლეობა და რა ეთნიკურ ტალღებს ითვისებდა საუკუნეთა მანძილზე, ვინ ქმნიდა მისი მატერიალური კულტურის ძეგლებს.**

**ამ პრობლემებზე პასუხის გასაცემად მივმართეთ ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის წამყვან მეცნიერ-თანამშრომელს ჯონდო გვასალიას, რომელმაც აღგვითქვა სამეცნიერო წერილების სერია შიდა ქართლის ისტორიული გეოგრაფიიდან.**

**ყველა წერილს დაამშვენებს ემბლემა — მეთერთმეტე საუკუნის სამთავისის ტაძრის ბარელიეფი — ფრთოსანი ლომი.**

**ჯონდო გვასალია ცნობილია, როგორც ავტორი საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისადმი მიძღვნილი მრავალი სამეცნიერო ნაშრომისა. მათ შორის აღსანიშნავია: „აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები“, „ქსნის ხეობის ისტორიული გეოგრაფია“, „არაგვის ხეობის ისტორიული გეოგრაფია“, „ლიახვის ხეობის ისტორიული გეოგრაფია“, „ფრონეს ხეობების ისტორიული გეოგრაფია“, „საქართველოს სამხედრო გზის ისტორია“, „არაგვის კარი (დარიალანი), „წანარების ეთნიკური კუთვნილების საკითხისათვის, „ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობის საკითხისათვის“, „კახეთის ქალაქების ისტორიული გეოგრაფიისათვის“ და სხვა.**

**ჯონდო გვასალიას დაწერილი აქვს 100-ზე მეტი სტატია ქართულ ენციკლოპედიაში, მიძღვნილი საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის საკითხებისადმი. იგია ავტორი „საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის“ მე-5 ტომის შესავალი ნარკვევისა, რომელშიც მოცემულია შიდა ქართლის წინაფეოდალური და ფეოდალური ხანის ძეგლების ზოგადი მიმოხილვის ცდა.**

**ჯონდო გვასალიას ეკუთვნის მრავალი საგაზეთო სტატია, რომლებიც ეხმაურება ჩვენი ისტორიის მწვავე და აქტუალურ საკითხებს.**

# შიდა ქართლი



შიდა ქართლს დასავლეთიდან ლიხის ანუ სურამის ქედი საზღვრავს, ჩრდილოეთიდან კავკასიონის ცენტრალური ქედი. თრიალეთის ნაოჭა სისტემის ჩრდილოეთი ფერდობი, საშუალო სიმაღლის მთახეობათა რელიეფით, მის სამხრეთ საზღვარს ქმნის, ხოლო აღმოსავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით აგრეთვე კარგად გამოხატული ბუნებრივ-ოროგრაფიული ერთეულებით — საგურამოსა და ქართლის ქედებით არის შემოფარგლული.

შიდა ქართლის ჩრდილოეთი და სამხრეთი ნაწილები უჭირავთ კავკასიონისა და თრიალეთის მაღალ ქედებს, რომელთა მტკვრისაკენ დაშვებული ტოტები ქმნიან ზეგნებს. ზეგნებსა და მტკვარს შორის მოქცეულია ვაკეები. თუ გაღმამხარში მდინარეები: ძამა, ტანა, თეძამი და კავთურა ქმნიან მცირე ვაკეებს, მტკვრის ჩრდილოეთით გამომუშავებულია ვრცელი ვაკეები — დოღლაურისა და ტირიფონის და მუხრანის ველი. ისინი დრენირებულია მდინარეებით: არაგვით, ქსნით, ლეხურით, ლიახვით, ფრონეებით.

ფრონეები ეწოდება შიდა ქართლის ოთხ მდინარეს: დვანის წყალს, ფცის წყალს, ალის წყალს და სურამის წყალს. ოთხივე მდინარე გამოდის სურამის ქედის აღმოსავლეთი კალთებიდან და ერთვის მტკვარს. ამ ოთხივე მდინარეს ხალხი უწოდებს დვანის ფრონეს, ფცის ფრონეს, ალის ფრონეს და სურამის ფრონეს. საინტერესოა, რომ ფრონეები ამ მდინარეთა ზედა წელს ეწოდება, ხოლო ქვედა წელს დვანის წყალი, ფცის წყალი, ალის წყალი და სურამის წყალი.

ვახუშტი ბაგრატიონი ამ მდინარეების აღწერისას აღნიშნავს: „და ლიახვის მდინარეს აქათ ტაშის-კარამდე, რომელნიცა მდინარე-ხევნი აღვწერეთ, უწოდებენ თვინიერ შოლისა, ფროხეთა“.

როგორც ჩანს, ფრონე ზოგადი სახელია. მით უმეტეს, რომ ამ სახელწოდებით ორი მდინარე ზედა და ქვედა ფრონე გვხვდება ლიხს იქითაც, ზემო იმერეთში. კიდევ ერთი მდინარე ფრონეს სახელწოდებით არის სამცხეში. აწყურის ციხის მახლობლად სოფელ აგარასთან მტკვარს ერთვის აბანოს ხევი, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა ფრონეს უწოდებს.

მოსახლეობის დაკვირვებით ფრონე თხელ წყალს ეწოდება. ხომ არაა კავშირი ფრონესა და ფონს (ფონა, ფონე) შორის, რომლებიც ფონეტიკურად ახლოს დგანან ერთმანეთთან?

შიდა ქართლის ბარის ჰავა ქვემო ქართლისა და, აგრეთვე, იორ-აჯინოურის ქვეოლქებთან შედარებით უფრო ტენიანია, სამაგიეროდ იმერეთთან შედარებით საგრძნობლად კონტინენტური. ატმოსფერული ნალექების წლიური საშუალო რაოდენობა 600-650 მმ-ია, სხივური ენერგიის სიუხვე, მაღალი თერმული რესურსები და სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობა (6 თვე) ხელსაყრელ პირობებს წარმოადგენს მრავალნაირი სასოფლო-სამეურნეო კულტურის ზრდა-განვითარებისათვის. ვეგეტაციისათვის საჭირო ნალექების დიდი ნაწილი, რომელიც გაზაფხულზე და ზაფხულის დასაწყისში თქეშის სახით მოდის, მდინარეებისაკენ მიექანება, ნაწილი, კი უნაყოფოდ იკარგება. თხელი თოვლის საფარის სწრაფი დნობის გამო მისი წყალი არ ჩაედინება მიწაში როგორც საჭიროა, ამიტომ აუცილებელია შიდა ქართლის მდინარეების გამოყენება სარწყავების საშუალებით.

ლიახვის სათავეებში (მაღრონ-დვალეთი( ქნოლოს, ყელის ტბაზე, თრუსოსა და მთიულეთ-გუდამაყარში განვითარებულია სუბალპური და ალპური ლანდშაფტი, რომლის არეალის ბალახ-მცენარეულობა, როგორც სათიბ-საძოვრები, მესაქონლეობის განვითარებისთვის მტკიცე ბაზაა.

სუბალპური მდელოების ქვემოთ წიფლის, რცხილის, არყისა და მუხის ტყეებია. ლიახვზე განვითარებულია ნაძვი და ფიჭვი. ტყიდან თავისუფალი ადგილები, რომლებიც მიკროლანდშაფტებს ქმნიან, გამოსადეგია სოფლის მეურნეობის კულტურების (ხორბალი, ქერი, ჭვავი, შვრია, კარტოფილი) გავრცელებისათვის.

მდინარეთა შუა აუზების დაბალმთიანი ზონა, ხელსაყრელია საგაზაფხულო კულტურებისათვის, მათ შორის ხორბლისა და ქერისათვის, აგრეთვე კონტინენტური მეხილეობისათვის, მებოსტნეობისათვის; დაბალ ზონაში მდინარეების ტერასების ნიადაგ-კლიმატური პირობები გამოსადეგია ვაზისათვის.

თრიალეთის ქედის ჩრდილო ფერდობის რაიონი, რომელიც სამხრეთიდან ებჯინება შიდა ქართლის დაბლობ ნაწილს, ძამას და ტანაკავთურას (მასშივე შედის თეძამიც) ქვერაიონებად იყოფა.

ძამას შუა აუზის ნიადაგ-კლიმატური პირობები ხელსაყრელია ხორბლის, ხეხილის, ბოსტნეულ-ბაღჩეულის გავრცელებისათვის. დაბალ ზონაში შესაძლებელია ვაზის საადრეო ჯიშის გავრცელება. ხეობის ზემო აუზის სუბალპური ლანდშაფტის ნოყიერი ბალახ-მცენარეულობა გამოყენებულია საზაფხულო საძოვრებად და სათიბებად.

ვახუშტი ბაგრატიონი საქართველოს ბუნებრივი პირობების აღწერას ვერტიკალური ზონალობის პრინციპით მიუდგა. მან გეობოტანიკური თვალსაზრისით ქვეყანა მთად და ბარად გაჰყო.

აღსანიშნავია, რომ საზაფხულო საძოვრების სიუხვე და სივრცე უმთავრესად საქართველოს სამხრეთ ნაწილში მოიპოვება, ჩრდილოეთის მდებარე საზაფხულო საძოვრებს კი, საქართველოს ამ საზღვრებში მიწისა და ფართო ვაკე ადგილის სიმცირის გამო, შედარებით ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს.

ამ ეკონომიკურ თავისებურებაში არის გასაღები იმისა, თუ მცხეთელ-მუხრანელნი რატომ სარგებლობდნენ ჯავახეთ-თრიალეთის მდიდარი საზაფხულო საძოვრებით. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ცნობათა ანალიზი და ფეოდალური ხანის საბუთებით დადგინდა მცხეთა-თრიალეთის ეკონომიკური კავშირი.

IV საუკუნეში ქართლში ქრისტიანობის საქადაგებლად მოსული წმინდა ნინო თრიალეთ-ჯავახეთში ხვდება მცხეთელ მწყემსებს. XII საუკუნეში შიომღვიმის მონასტრის მრავალრიცხოვანი საქონლის საძოვრები თრიალეთშია. პირველად ანტიკურ ხანაში, ხოლო შემდეგ შუა საუკუნეებში მცხეთა-მუხრანის (ბარის) თრიალეთთან (მთა) კავშირმა შეასრულა დიდი როლი ქართლის სამეფოს წარმოშობასა და შემდგომში საქართველოს გაერთიანებაში.

შიდა ქართლში სარწყავი მიწათმოქმედების გაჩენას გვიანბრინჯაოადრერკინის ხანას უკავშირებენ. ამ პერიოდით თარიღდება ხეკორძულას, ნიჩბურას, კავთურას, ნოსტურას, ტანას საირიგაციო სისტემები.

ანტიკურ ხანაში ტეხილი შეიმჩნევა შიდა ქართლის მორწყვაში: ყალიბდება დიდი საირიგაციო სისტემები.

ძველი ქართული საისტორიო ტრადიცია, რომელიც „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-შია დაცული, ქართლში პირველ დიდ საირიგაციო მშენებლობას ალექსანდრე მაკედონელის სახელს უკავშირდება და ქსნიდან გამოყვანილ რუზე მიუთითებს: „და შემდგომად რაოდენისამე ჟამისა მოვიდა ალექსანდრე, მეფე ყოვლისა ქუეყანისა, და დალეწნა სამნი ესე ქალაქნი და ციხენი და ჰონთა დასცა მახვილი. ხოლო სარკინესა ქალაქსა ებრძოდა ათერთმეტ თთუე და დადგა სარკინესა დასავალთ კერძო. და დასცა ვენახი და რუჲ გამოიღო ქსნით, და დასხნა კაცნი მერუვენი დასტაგითა რუჲსაჲთა; და ჰრქვიან ადგილსა მას ნასტაგისი. და მერმე გამოიღო სარკინე. თვით დაყარეს და მეოტ იქმნნეს“.

რელიეფის სირთულის გამო ნასტაკისის ველის მორწყვა ქსნის წყლით რთულ საინჟინრო ღონისძიებებთან იქნებოდა დაკავშირებული და ამიტომ ამ ფაქტმა საგანგებო ასახვა ჰპოვა ძველ მატიანეში. იგი ქვეყნის ცხოვრებაში ეკონომიკური და სოციალური ტეხილის მაჩვენებელია. ასევე არაა შემთხვევითი, რომ რუს გამოყვანა ვენახის გაშენებასთან არის დაკავშირებული.

ქსნიდან იღებდა სათავეს თელოვნის რუ, საგლახაო რუ და დიდი რუ. დღეს შემორჩენილია თელოვნის არხის ორი ნარუალი. ერთის სათავე მოდიოდა სოფელ ოძისიდან, ხოლო მეორისა — ქსოვრისიდან. თელოვნის რუს წყალი რწყავდა ძალის-წილკანის ტერიტორიას.

საგლახაო რუ სათავეს იღებდა ქსოვრისთან. იგი რწყავდა მიწებს წილკნამდე. ადგილობრივი მოსახლეობის სიტყვით, გლეხები მიდიოდნენ ბატონთან და წყლისთვის გლახაობდნენ (თითქოს აქედან წარმოსდგა რუს სახელწოდება).

ს. ჯანაშია და ნ. ბერძენიშვილი საგლახაო რუს სახელწოდებასა და გამოყვანის ფაქტში ხედავენ სოციალურ ტეხილს. რუ უნდა გამოეყვანა სიუზერენს, შესაძლოა სამეფო ხელისუფლებას გლეხებისათვის (გლეხებისათვის). ნასტაკისის რუ გამოყვანილი ყოფილა მუხრანის რუსხმულიდან და მუხრანის სარწყავი სისტემის ერთ-ერთ განშტოებას წარმოადგენდა. მართლაც, უეჭველად უნდა არსებულიყო კავშირი ნასტაკისის რუსა და დიდი არხის რუსხმულს შორის. ქანდიდან ნაზვრევისაკენ რელიეფი მაღლდება და ქანდის გასწვრივ ქსნიდან გამოყვანილი რუს წყალი მასზე ვერ ავა, ხოლო რუსხმული ქანდის დონესთან შედარებით საკმაოდ ამაღლებულია. ეს გარემოება ნაზვრევისა და შემდეგ ნასტაკისის მორწყვის ერთადერთ გზად რუსხმულს სახავს.

თელოვნის რუ უნდა იყოს ის არხი, რომლის ქსნიდან გამოტანასაც აგიოგრაფი მიაწერს იასე წილკნელს. იმდენად მნიშვნელოვანი ყოფილა ეს სამუშაო, რომ მემატიანე მას იასე წილკნელის სასწაულმოქმედებას უკავშირებს.

ვახუშტის მიხედვით, იესე წილკნელს რუ გამოჰყავს არა ქსნიდან, არამედ ნარეკვავიდან: „ტყვილიანიდამ ისო წილკნელმა, იგ (13) მამათაგანმან, წარმოიღო ყავარჯნის თრევით რუ, რომელსა მოსდევდა უმუშაკოთ წყალი და მოიღო წილკანს და დის დღემდე“.

ვახუშტი თვითმხილველია ნარეკვავიდან გამოტანილი არხის მოქმედებისა. უნდა აღვნიშნოთ, რომ ტყვილიანიდან გამოტანილი ნარუალი დღესაც შეიმჩნევა ციხევდავის სერის სამხრეთ ფერდობზე.

ჩანს, წმინდანთა ცხოვრებასა და ვახუშტისთან დაცული ცნობები სხვადასხვა პერიოდს ეხება. პირველი ცნობა ძველია, უნდა დათარიღდეს ადრეფეოდალური ხანით და გულისხმობს რუს გამოტანას ქსნიდან (ოძისიდან), ხოლო მეორე გვიანშუასაუკუნეებისაა და შესაძლოა უკავშირდება ქსნის ერისთავთა ძალაუფლების გავრცელებას ქსნის შუა წელზე, როდესაც მათ შეუძლიათ ადმინისტრაციულად სამუხრანბატონოში შემავალ წილკნისათვის წყალი არ მიეცათ.

ვახუშტის „აღწერაში“ დაცულია ცნობა ქსნიდან გამოღებული კიდევ ორი რუს შესახებ. იგი წერს: „ამის ჩრდილოთ ქსოვრისი. მუნ არს აღებული რუ, და რწყავს ორთა ამათ მთათა შორისთა მინდორთა, სარკინეთისა და ციხე-ბოდავის მთათა შორისს, და ნაყოფიერებს მით ფრიად. მას ოძისი ზეით და დასავლეთ კსნისა, ირტო-თეზ-ოკმის მინდორი და ჩანგილარ-ბეგთავისა; ირწყვის კსნის რუთივე და ნაყოფიერებს“.

ვახუშტის მიერ აღწერილ არხთაგან პირველი მუხრანის დიდი რუა, ხოლო მეორე ქსნის დასავლეთით მდებარე ველის მრწყველი რუ, რომლის ნაკვალევი დღესაცაა შემორჩენილი.

ქართული საისტორიო ტრადიციით უძველეს ქალაქებად მიჩნეულია უფლისციხე და კასპი. ორივე პუნქტი შიდა ქართლის ვაკის შუაგულზეა გაშენებული და საირიგაციო სისტემების გარეშე მათი არსებობა ძნელად წარმოსადგენია. კასპის სარწყავი სისტემები მდ. ლეხურაზე უნდა მოეწყოთ. ამჟამად ლეხურიდან რამდენიმე არხი იღებს სათავეს. ყველა არხი ძველია და მათი გაყვანა ხეობაში მიწათმოქმედი მოსახლეობის გაჩენიდან უნდა ვივარაუდოთ.

ქართლის ვაკის ძლიერი გვალვიანობა ყოველთვის ხდიდა მორწყვას ლიახვის ქვედა წელისათვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სახალხო-სამეურნეო პრობლემად. მდინარე ლიახვი ჰკვეთს რა დახრილ ალუვიურ ვაკეს, მეტად მოხერხებულია არხების გაყვანისათვის.

ლიახვის სარწყავი სისტემების შექმნა ანტიკურ ხანას განეკუთვნება. ამ დროის უნდა იყოს ურბნისის ზედა არხისა და ტირიფონის არხის გრანდიოზული რუსხმულები.

ძამის წყალი სარწყავად ძველი დროიდან გამოიყენებოდა. ყოველ შემთხვევაში, გვაქვს X საუკუნით დათარიღებული დოკუმენტური ცნობა ძამას არხის ფუნქციონირების შესახებ. სამწევრისის VII საუკუნის ტაძრის აღმოსავლეთ ფასადზე X საუკუნის ასომთავრული წარწერაა, რომელიც ასე იკითხება:

ქ. ზედა წელსა კს კონსტანტინე მეფისასა ესე რუვი მე დომნინოს სამწევრის ჯუარისა მამასახლისმან და გიორგი თუალოჲს ძემან მოვიღეთ რუვი ესე ჯუარად და არავინ არს სხუა... რუვსა ამას გარნა პატიოსანი ჯუარი და გიორგი ვინ ესე აღმოიკითხოს მე დომნოს მონა ჯუარისა იგი ქრისტემან შეიწყალენ ამენ იყავნ“.

ამ წარწერაში მოხსენებულია აფხაზთა მეფე კონსტანტინე, რომელიც მეფობდა X საუკუნის დასაწყისში.

შიდა ქართლში მემინდვრეობა-მევენახეობის განვითარება მრავალი ისტორიული საბუთით დასტურდება. მევენახეობა-მეღვინეობის განვითარებაზე მიუთითებს მრავლად აღმოჩენილი ქვევრები და მარნები. ქართლში საუკეთესოდ ატენური ღვინო ითვლებოდა. აკი ვახუშტი აღნიშნავს: „დამჩხერლოდამ ტფილისამდე, მტკვრის კერძო მთამდე, არს ნაყოფიერი, ბრინჯ-ბამბას გარდა ყოველნი მარცვალნი, რომელნი აღვსწერეთ, ხილნი და ვენახნი მრავალნი; ღვინო აქაური უმჯობესი ყოვლისა ქართლისა, და უმეტეს ატენური ყოველთა საქართველოს ღვინოთა“.

შიდა ქართლში განვითარებული იყო მესელეობა და სელის ზეთის გამოხდა. ამაზე მიუთითებს ზეთისსახდელი გელაზების აღმოჩენა ქვენიფნევსა და ლეხურის ხეობაში და საეკლესიო საბუთებში მრავლად დადასტურებული ზეთის გადასახადი.

განვითარებული იყო მეაბრეშუმეობა. მას მისდევდნენ ფრონისპირეთში. მეაბრეშუმეობა განვითარებული უნდა ყოფილიყო მუხრანში. ამის მოწმობაა სოფლის სახელწოდება „საფურცლე“. ტოპონიმი ნაწარმოებია სიტყვისაგან ფურცელი. ს. ნატახტარის მკვიდრის ზ. როსტიაშვილის (დაბ. 1907 წ.) სიტყვით, „ფურცელი თუთის ხეა, რომელიც ნაყოფს არ ისხამს, მხოლოდ ფურცელს (ფოთოლს) ისხავს. ასეთი ხის ფურცელი ღონიერია და აბრეშუმის ჭიისთვის ყუათიანი“.

შიდა ქართლში მეაბრეშუმეობის განვითარება დოკუმენტურადაც გვაქვს დადასტურებული. 1245-1250 წწ. დათარიღებულ ქართლის ერისთავის გრიგოლ სურამელის მიერ შიომღვიმისადმი შეუვალობის განახლების წიგნით სოფელი გავაზელნი ვალდებულია შიომღვიმეს გადაუხადოს თხუთმეტი ლიტრა აბრეშუმი (ქართ. სამ. ძეგლები, II, გვ. 41-42).

შიდა ქართლის წიაღისეულთაგან ვახუშტი ბაგრატიონი თეძმის ხეობაში აღნიშნავს ბრპენს (ტყვია, კალა) და ვერცხლს, ხოლო ხევში — ოქროსა და ვერცხლს.

ბრინჯაოს მეტალურგიის განვითარებაზე შიდა ქართლში მოწმობს ის უამრავი ბრინჯაოს ნივთი, რომლებიც მომდინარეობენ სამარხებიდან ან სამოსახლოებებიდან ან „განძების“ სახითაა აღმოჩენილი.

რკინის მეტალურგიის განვითარების უტყუარი მოწმობაა ქართლის ერთ-ერთი უძველესი ქალაქის სახელწოდება „სარკინე“ და იქ არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილი ლითონწარმოების ნაშთები და მზა ნაწარმი.

**ჯონდო გვასალია**

ვიცოდეთ ჩვენი ისტორია

# განვიხილავთ პროექტს

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1990 წლის 27 დეკემბრის დადგენილებით ახლა მიმდინარეობს „პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა შესახებ“ კანონის პროექტის განხილვა. კანონის პროექტი სხვა საკითხებთან ერთად ეხება პრესაში და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებში სახელმწიფო საიდუმლოებათა დაცვას და მისგან გამომდინარე პასუხისმგებლობას.**

**ადრე საქართველოში სახელმწიფო საიდუმლოების დაცვას ერთპარტიულ ცენზურასთან ერთად ეწოდა საქართველოს მთავლიტი, რომელიც თავის საქმიანობით დაქვემდებარებული იყო ცენტრს (მოსკოვი) და ადგილზე — საქ. კპ. ცენტრალურ კომიტეტს. გასული წლის აგვისტოდან იდეურ-პოლიტიკური ცენზურა ოფიციალურად და ფაქტიურად ლიკვიდირებულია, დარჩა სახელმწიფო საიდუმლოების დაცვა, როგორც ნებისმიერ ცივილიზებულ სახელმწიფოში. ოქტომბრის შუა რიცხვებიდან საქართველოს მთავლიტში შეიცვალა ხელმძღვანელობა (ადრინდელი უფროსის ვ. პეტრიაშვილის გარდაცვალების მიზეზით), რომელმაც მინისტრთა საბჭოს წარუდგინა წინადადება საქართველოს მთავლიტის გაუქმებისა და მის ნაცვლად ბეჭდვითი სიტყვასა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებში სახელმწიფო საიდუმლოებათა დაცვის მთავარი სამმართველოს (სდმს-ის) შექმნისა და მისი დროებითი დებულების დამტკიცების შესახებ. ეს იყო ჯერ კიდევ მინისტრთა საბჭოს ადრინდელი ხელმძღვანელობის დროს (ეს მასალები მაშინდელი თარიღით დღესაც მინისტრთა საბჭოში ინახება). მართალია, დებულების დამტკიცებას დღემდე ვერ მივაღწიეთ, მაგრამ სამაგიეროდ ჩვენი ღონისძიებებით მოვიპოვეთ ცენტრის დიქტატისაგან განთავისუფლება და სრული სამეურნეო დამოუკიდებლობა.**

**ახლა, როცა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიაზე უნდა დამტკიცდეს ბეჭდვითი სიტყვის კანონი, საჭიროა გარკვეული ფორმით კანონში ჩამოყალიბდეს ის ინსტიტუტი, რომელიც ბეჭდვით სიტყვასა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებში სპეციალურად, პროფესიულ დონეზე დაიცავს სახელმწიფო საიდუმლოებას ისე, როგორც ეს ხდება მსოფლიოს ცივილიზებულ ქვეყნებში. უამისოდ გარდაუვალია ქაოსი. სახელმწიფო საიდუმლოება უნდა დაიცვას სახელმწიფო მმართველობის ორგანომ. ჟურნალისტები თავიანთი მოწოდებით მუდამ იქნებიან იმის მომხრე, რომ ფარდა ახადონ სახელმწიფო საიდუმლოებას. სახელმწიფომ კი პირიქით, უნდა დაიცვას თავისი საიდუმლო. ასეთია დემოკრატიისა და სახელმწიფო ურთიერთობის შინაგანი ლოგიკა. აქ საიდუმლო და დასამალი არაფერი არის. ამის მაგალითია ნებისმიერი მოწინავე დემოკრატიული სახელმწიფოები.**

**აღნიშნულთან დაკავშირებით მოგახსენებთ ჩვენს მოსაზრებებს.**

კანონის პროექტში მე-5 მუხლით მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს ეკრძალებათ მათთვის მინიჭებული უფლებების ბოროტად გამოყენება, რომლებიც ჩამოყალიბებულია ექვს პუნქტად. აქედან 5 პუნქტში მითითებული დარღვევების თავიდან აცილება რედაქტორების თვალსაზრისით ყოველთვის შესაძლებელია და პროფესიონალ ჟურნალისტისათვის არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს. მაგრამ ჟურნალისტისათვის ასე ადვილი არ არის პირველ პუნქტით მინიშნებული დარღვევის თავიდან აცილება. აქ საქმე ეხება სახელმწიფო საიდუმლოების დაცვას. ეს საიდუმლოება კი სახელმწიფოს ხელშია.

ჟურნალისტი თავის მოწოდებით მაძიებელია და დაინტერესებულია ფარდა ახადოს რაც შეიძლება მეტ საიდუმლოებას, კიდევ მეტი, მას აქეთკენ მოუწოდებს დემოკრატიისა და საჯაროობის პრინციპები. მაგრამ სახელმწიფო სანამ არსებობს, არსებობს სახელმწიფო საიდუმლოებაც. იგი დღეს კანონით დაცულია ყველა სახელმწიფოში. ცხადია, ასევე იქნება საქართველოს რესპუბლიკაშიც.

წარმოდგენილი კანონის პროექტის მე-13 მუხლით „მასობრივი ინფორმაციის საშუალების გამოცემა აიკრძალება, თუ იგი განმეორებით დაარღვევს ამ კანონის მე-5 მუხლის პირველ ნაწილს“. და სწორედ ამ მუხლის პირველი ნაწილი ეხება სახელმწიფო საიდუმლოების გამჟღავნებას. გამოდის, რომ პრესისა და მასობრივი ინფორმაციის მუშაკებს პასუხისმგებლობა აკისრებენ და სჯიან იმაზე, რომელზეც ნაკლებად მიუწვდებათ ხელი, რომელშიც კომპეტენტური არ არიან. კანონის პროექტში ეს არის თავისებური მახე (ყოველგვარი წინასწარ განზრახვის გარეშე), რომელსაც შეიძლება ადვილად წამოკრა ფეხი და მას ემსხვერპლოს არა თუ ჟურნალისტი, არამედ თვით გამოცემაც! ცხადია მე-5 და მე-13 მუხლებში ჩადებულია სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის მექანიზმი, მაგრამ იგივე მექანიზმი არ ჩანს სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის შემთხვევაში ბეჭდვითი სიტყვასა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მისამართით. სახელმწიფო საიდუმლოების ნიუანსებში წვდომა პროფესიონალიზმია. ასეთი კადრის მომზადებას 3-5 წელი სჭირდება. სახელმწიფო საიდუმლოების დაცვით პირველ რიგში დაინტერესებულია თვითონ სახელმწიფო, სხვანაირად არ შეიძლება, ამიტომ ხომ არ აჯობებს ცენზურის არ არსებობის ვითარებაში მასობრივ ინფორმაციის საშუალებებს მოეხსნას ბეჭდვით სიტყვასა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებში სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის პასუხისმგებლობა და იგი დაეკისროს სახელმწიფო საიდუმლოებათა დაცვის სპეციალურ სამსახურს.

აღნიშნულიდან გამომდინარე წინადადება შემომაქვს — ბეჭდვით სიტყვაზე კანონის პროექტს ჩაემატოს ერთ-ერთ მუხლად (აჯობებს მე-5-ს შემდეგ):

**„მუხლი №: ბეჭდვითი სიტყვასა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებში სახელმწიფო საიდუმლოებათა დაცვის შესახებ.**

**ბეჭდვითი სიტყვასა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებში სახელმწიფო საიდუმლოებათა დაცვის ორგანიზაცია და პასუხისმგებლობა ეკისრება საიდუმლოებათა დაცვის სპეციალურ სახელმწიფო სამსახურს.**

შემდეგი შენიშვნა ეხება მე-10 მუხლს. აქ ლაპარაკია იმაზე, რომ ათას ცალამდე ბეჭდვით პროდუქციის გამოშვებას არ სჭირდება რეგისტრაცია. ჩემის აზრით დღევანდელი საქართველოს პირობებში, როცა რესპუბლიკის შიგნით და გარეთ ადგილი აქვს დესტრუქციული ძალების მოქმედებას, ვიმყოფებით მეტად რთულ გარდამავალ პერიოდში — არ მიმაჩნია სწორად ათას ცალამდე არა რეგისტრირებული ბეჭდვითი პროდუქციის გავრცელება. როგორც წესი ღია აუდიტორიისათვის განკუთვნილი ტირაჟირებული საინფორმაციო მასალა უნდა იყოს რეგისტრირებული. და, თუ მაინც და მაინც აუცილებლად მიგაჩნიათ, მაშინ მისი ტირაჟი საქართველოსათვის არ უნდა აღემატებოდეს 250 ეგზემპლარს.

ბოლო შენიშვნა შეეხება მე-17 მუხლს, სადაც ლაპარაკია უფასო საკონტროლო და სავალდებულო ეგზემპლარების მიმღებ ორგანიზაციებზე. აქ სიას ჩაემატოს:

— ბეჭდვითი სიტყვასა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებში სახელმწიფო საიდუმლოებათა დაცვის სპეციალური სამსახური.

—პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა შესახებ კანონის დაცვისა და განხორციელების ზედამხედველობის კომისია.

ვინაიდან, როგორც პირველს, ისე მეორეს სამსახურებრივი მოვალეობების შესრულება შეუძლიათ მხოლოდ და მხოლოდ საკონტროლო ეგზემპლარების სრული კომპლექტის დროულად მიღებით.

**გიორგი ნაჭყებია,**
**ჟურნალისტთა კავშირის წევრი**

# დაიღუპა კიდევ ორი...

**სამაჩაბლოდან ზუსტი ინფორმაციები საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრში მოდის. სწორედ ამიტომ გუშინ დილით ჩვენი კორესპონდენტი შეხვდა პრესცენტრის უფროსს, ვლადიმერ გოგოლაშვილს და ესაუბრა:**

**— ბატონო ვლადიმერ, როგორი იყო წუხანდელი, 17-18 იანვრის ღამე სამაჩაბლოში?**

— წუხანდელი ღამე სამწუხარო იყო... ექსტრემისტებმა ერთგვარი ტაქტიკა შემოიღეს — დღისით სიწყნარეა, თითქოს არავითარ გართულებას ადგილი არ აქვს, თუმცა ცალკეული გასროლები არის...

პატარა ბიჭებს, 14-15 წლის ბიჭებს, ზოგი ალბათ მოსწავლეებიც არიან, აქვთ მცირე კალიბრიანი შაშხანები და ესვრიან მილიციელებს. მაგალითად, 17 იანვარს, დილით, ასე დაჭრეს კასპის რაიონის მილიციის ერთ-ერთი თანამშრომელი გია ფეიქრიშვილი. გუშინ, 17 იანვარს დაბინდებისთანავე დაიძაბა ვითარება. ესე იგი, როგორც კი დგება კომენდანტის საათი, იმის ნაცვლად, რომ სიწყნარე იყოს, მდგომარეობა უფრო იძაბება. ძირითადად ამ დროს იწყება ექსტრემისტების თავდასხმები. დაახლოებით 19 საათსა და 30 წუთზე, ააფეთქეს ავტომანქანა „მოსკვიჩი“, რომელშიც ისხდნენ საქართველოს მილიციის თანამშრომლები. აფეთქება მოხდა მდინარე ლიახვის ხიდის მიდამოებში. დაიღუპა თბილისის მთაწმინდის რაიგანყოფილების გამომძიებელი, მილიციის კაპიტანი თენგიზ ჰიპაშვილი, ტვინის შერყევა და სხეულის დაზიანებები მიიღო რესპუბლიკის შს სამინისტროს საგამომძიებლო სამმართველოს განსაკუთრებული საქმეების გამომძიებელმა, მილიციის პოდპოლკოვნიკმა მერაბ დოლიძემ. მკერდის არეში დაიჭრა ავტომანქანის მძღოლი პაატა ტაბატაძე. ვარაუდობენ, რომ მანქანაში იმყოფებოდა აგრეთვე ვაკის რაიგანყოფილების გამომძიებელი ანგული ქირია, მაგრამ მის შესახებ, ჯერჯერობით არავითარი ცნობები არ გაგვაჩნია. ახლახან ველაპარაკე ჩვენს შტაბს და მითხრეს რომ ანგული ქირიას ამჟამად მთელი ოცეული ეძებს.

მანქანაში იყო აგრეთვე თბილისის შს სამმართველოს საგამომძიებლო სამმართველოს უფროსის მოადგილე თემურ აბულაშვილი. იგი არ დაჭრილა. შემთხვევის ადგილზე მაშინვე გაემგზავრა ოპერატიული ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ექსპერტ-კრიმინალისტებიც, მაგრამ ეს ჯგუფი მოხვდა ინტენსიური ცეცხლის ქვეშ. მილიციის თანამშრომელთა საპასუხო სროლის შედეგად დაიჭრა ერთი ექსტრემისტი. წუხელ, მთელი ღამის განმავლობაში მიმდინარეობდა ინტენსიური სროლა, მილიციისა და შინაგანი ჯარის ნაწილები მაინც ახორციელებდნენ პატრულირებას.

**— საერთოდ, ბოლო ხანებში, როგორი ტენდენცია შეიმჩნევა, შინაგანი ჯარები ხელს რომ არ უშლიან საქართველოს მილიციას?**

— 6 იანვარს, როდესაც შევიდა ჩვენი მილიციის დამატებითი ძალები, შინაგანი ჯარები განზე დადგნენ. ისინი პატრულირებაშიც კი არ იღებდნენ მონაწილეობას. ამის თაობაზე პროტესტი გაეგზავნა სსრკ შს მინისტრს, პუგოს. ალბათ მისი მითითებით, 11 იანვრიდან ისინი ჩვენთან ერთად ახორციელებენ პატრულირებას.

**— ბატონო ვლადიმერ, თქვენ ბრძანეთ, ექსტრემისტების მხრიდან ერთი დაიჭრაო. იქნებ მეტია დაჭრილი, ან მსხვერპლიც არის... როგორ შეიტყვეთ?**

— ეტყობა გაიქცნენ, ეს ერთი კი მძიმედ იყო დაჭრილი და დატოვეს. მსუბუქად დაჭრილი გაიქცეოდა, მაგრამ ეს ალბათ მძიმედ არის დაჭრილი და დატოვეს.

**— უგზოუკვლოდ დაკარგული ანგული ქირია, ნამდვილად ამ ჯგუფთან იყო?**

— ვარაუდობენ რომ იქ იყო...

**— ესე იგი, სამწუხაროდ, თენგიზ ჰიპაშვილი ქართული მილიციიდან რიგით მეექვსე მსხვერპლია?**

— კი, სამწუხაროდ, მეექვსეა.

(ამ დროს ტელეფონი რეკავს. ბატონი ვლადიმერი პასუხობს. უნებურად ვაკვირდები მისი სახის გამომეტყველებას და...)

— ანგული ქირიას გვამი აღმოუჩენიათ, ხიდიდან 30-40 მეტრის ფარგლებში, მდინარეში...

ესაუბრა
**გელა ჭინჭარაული**

**P. S. გუშინ, 16 საათსა და 30 წუთზე, როცა „ახალგაზრდა ივერიელი“ დასაბეჭდად უკვე მზად იყო, ჩვენ კვლავ დავუკავშირდით რესპუბლიკის შს სამინისტროს პრესცენტრს. მდგომარეობა დაძაბულია. ცხინვალში და მის გარეუბნებში მიმდინარეობს ინტენსიური სროლა — გვაცნობა ბატონმა ვლადიმერ გოგოლაშვილმა.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინადადებანი

# საქმეს წაადგება

იმ პრობლემათა შორის, რომლებიც რესპუბლიკის ახალი ხელმძღვანელობის წინაშე დგას, მოსახლეობის საბინაო პირობების გაუმჯობესება ერთ-ერთი უმთავრესთაგანია. სამშენებლო მასალებისა და სამუშაოების გაძვირებამ ამასთანავე ფაქტობრივად ყოველგვარი საქონლის დეფიციტმა და მასზე ოფიციალური თუ რეალური ფასების ზრდამ მეტად მძიმე ვითარება შექმნა. ვიყოთ რეალისტები — ხელფასის მშეუძლებელი ხდება კოოპერატიულ (მით უმეტეს ინდივიდუალურ) ბინათმშენებლობაში მონაწილეობის მიღება.

გაუკეთებელს ვერავის მოთხოვ, მაგრამ უკვე დროა მდგომარეობის გამოსასწორებლად აღნიშნულ სფეროშიც ვეძებოთ ეფექტის მომტანი გზები.

ნება მოგვეცით შემოგთავაზოთ ის წინადადებები, რომელთა პრაქტიკული რეალიზაცია ამგვარი ან უფრო დაკონკრეტებული, დახვეწილი სახით, ჩვენი აზრით, საქმეს წაადგება:

1. თბილისისა და სხვა ქალაქების ე.წ. პრესტიჟულ უბნებში უნდა აშენდეს გაუმჯობესებული დაგეგმარების საცხოვრებელი კორპუსები, რომელთა ბინების უმეტესი ნაწილი გაიყიდება აუქციონზე. შემოსული თანხის ერთი ნაწილი მოხმარდება იმ რაიონებში სახლების მშენებლობას, სადაც ქართველებისათვის დემოგრაფიულად არახელსაყრელი ვითარებაა, მეორე კი — კოოპერატიულ ბინათმშენებლობის ალოცვაზე მყოფი მოქალაქეებისათვის (პირველ ყოვლისა მრავალშვილიანი ოჯახები) შესატანი თანხის შემცირებას.

2. სასურველია, სახელმწიფომ თავის თავზე აიღოს იმავე უბნებში აშენებული ერთი და ოროთახიანი ბინების გარეუბნებში 3 და 4-ოთახიან ბინებზე გაცვლის პროცესის ორგანიზაცია. მსურველი ბევრი მოიძებნება. ამ კომბინაციით მოგებული ფართი კი შეიძლება დანიშნულებისამებრ გამოვიყენოთ.

3. ცნობილია, რომ კომუნალური ბინით, დაქმაყოფილების გაცილებით მეტი ოჯახი ელოდება ვიდრე ვთქვათ, კოოპერატიულით. თუ კი ამ მოქალაქეების კოოპერატიულ ან ინდივიდუალურ ბინათმშენებლობაში შესვლისას გარკვეული შეღავათი მიეცემათ მაგალითად, საბანკო შეუმცირდებათ პირველშესატანი თანხის პროცენტი, სავარაუდოა, რომ კომუნალურ ბინებზე რიგის სიგრძე საგრძნობლად შემცირდება.

4. სახელმწიფომ უნდა დაუმსურველთაგან მისთვის კომუნალური ბინის მიყიდვის შესაძლობა.

დრო აღარ ითმენს. გვახსოვდეს, რამდენ დღესაც დავაგვიანებთ, რამდენ კლიენტსაც დავკარგავთ, იმდენად გაიზრდება დაკარგული ფულის ოდენობა.

**ბელა ლვინიაძე**

**რედაქციისაგან: ვფიქრობთ, საინტერესო, საჭირო და არცთუ ძნელად განსახორციელებელი წინადადებებია. იმედი გვაქვს, შესაბამისი ორგანოები დაინტერესდებიან, მკითხველები კი მოგვაწვდიან თავიანთ მოსაზრებებს.**

# რეპლიკა

გაზეთ „ლიტერატურნაია გაზეტას“ 16 იანვრის ნომერში გამოქვეყნდა საკავშირო დეპუტატთა წერილი სათაურით — „მხოლოდ მოლაპარაკება!“ მას სხვებთან ერთად ხელს აწერს გაზეთის რედაქტორი ფიოდორ ბურლაცკიც. ჩვენთვის ამ წერილს იმდენად აქვს მნიშვნელობა, რამდენადაც ხელისმომწერთა შორის არიან ქართველი დეპუტატებიც. ერთის შეხედვით წერილის შინაარსი კეთილმოყვარეობითა და ჰუმანიზმით გამოირჩევა. იქ ის აზრია გატარებული, რომ ქვემორე ხელისმომწერნი წინააღმდეგნი არიან სოციალურ-პოლიტიკური პრობლემების ძალადობის გზით გადაჭრისა, მაგრამ იქვე, ეტყობა, რედაქტორის ეშმაკობით მოგვიანებით მიწერილია ასეთი ფრაზა: **„რადგანაც ეს ხელსაყრელია დესტრუქციული ძალებისათვის, რომლებიც არღვევენ სახელშეკრულებო პროცესებს და ძირს უთხრიან კავშირის საერთაშორისო პრესტიჟს“.** რაში გამოიხატება რედაქტორის მზაკვრობა? იმაში, რომ მან უთუოდ თვითნებურად ხელისმომწერთა დაუკითხავად ჩაამატა ეს წინადადება ტექსტში, ჩვენი ღრმა რწმენით, ქართველი დეპუტატები არ მოაწერდნენ ხელს იმ მიმართვას, სადაც გამოთქმული იქნებოდა ზრუნვა საბჭოთა კავშირის საერთაშორისო პრესტიჟზე! ესეც არ იყოს, იმასაც ხომ აქვს მნიშვნელობა, ვისთან ერთად აწერ ხელს პეტიციას? „მითხარი ვინ არის შენი მეგობარი და გეტყვი, ვინ ხარ შენ“, ამ წერილს კი სხვებთან ერთად ხელს აწერენ მანქურთი დავით კუგულტინოვი და ანტიქართული მოძრაობის მოთავეთაგანი გალინა სტაროვოიტოვა. ჩვენ იმიტომ დარწმუნებულნი ვართ, არც მათ შესახებ აქვნდათ ჩვენს წარმომადგენლებს. მათი თანაავტორობა რომ სცოდნოდათ, ქართველი დეპუტატები არავითარ შემთხვევაში არ მოაწერდნენ ხელს წერილს.

**თ. ბიბილაშვილი,**
**ც. კეკელიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თაყას არშინით...

## ანუ

# რას გვიპირებენ რუსი დემოკრატები

**არა მგონია** გავრილ პოპოვს ქართველი მკითხველის წინაშე ჩემგან წარდგენა სჭირდებოდეს.

იგი ერთი იმათგანია, ვინც შარშანწინ რუსეთში ჩატარებულმა „პერესტროიკულმა" არჩევნებმა ერთბაშად წამოატივტივა პოლიტიკურ ასპარეზზე და ვისაც კარგა ხანია პროგრესული, დემოკრატიული, „ახლებურად მოაზროვნე" რუსეთის ერთ-ერთ ყველაზე უფრო ტიპიურ წარმომადგენლად მიიჩნევენ იმპერიაშიც და მის ფარგლებს გარეთაც.

ყოველ შემთხვევაში, როგორც ამ ხნის მანძილზე რუსეთში არაერთგზის ჩატარებულმა საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვამ დაადასტურა, ჟურნ. „ვოპროსი ეკონომიკის" ყოფილი მთავარი რედაქტორი, ამჟამად მოსსოვეტის თავმჯდომარე, სსრკ სახალხო დეპუტატთა რეგიონთაშორისი ჯგუფის შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი და თანათავმჯდომარე გ. პოპოვი პოპულარობის მხრივ ტოლს არ უდებს და ზოგჯერ კიდევაც ჯაბნის ისეთ დემოკრატ-რადიკალებს, როგორებიც არიან ბ. ელცინი, ა. სობჩაკი, ი. აფანასიევი, ს. სტანკევიჩი, ნ. ტრავკინი და სხვები.

რაც შეეხება იმპერიის თვითმარქვია და ძალადმაცხონე პრეზიდენტს, (რამდენადაც მე და შენ იგი არ აგვირჩევია, მკითხველო!), ვფიქრობ, იმპერიაში მის პოპულარობაზე ლაპარაკი დღეისდღეობით მხოლოდ პირობითადღა შეიძლება და, როგორც ჩანს, მალე მისი პოპულარობა ნულოვან ნიშნულს გაუტოლდება, (თუ ჯერ კიდევ არ გატოლებია!), რაც ძალაუფლებაზე გაწუწკებული და უთავბოლოდ მოფაფხურე უზურპატორ-იმპერატორის დიქტატორად ქცევის სავსებით ლოგიკური შედეგი იქნება.

ეგ კია, რამდენადაც მეტად დაეცემა მისი პოპულარობა დემოკრატთა შორის, როგორც იმპერიაში, ისე მსოფლიოში, იმდენად უფრო გაიზრდება ეს პოპულარობა რეაქციონერთა შორის, ანუ, როგორც იტყვიან, — მითხარი, ვინ არის შენი მეგობარი და გეტყვი, ვინა ხარ შენ! ხოლო პრეზიდენტმა რომ საბოლოოდ გააკეთა არჩევანი „მეგობრებს" შორის, ამაში დღეს ალბათ ეჭვი აღარავის ეპარება.

ეს რომ ასე იქნებოდა, ჯერ კიდევ ნოემბერში იგრძნეს რუსეთის რესპუბლიკურ პარტიაში გაერთიანებულმა დემოკრატებმა, როცა მათ შორის მოწყობილ გამოკითხვაში „ჩვენმა" პრეზიდენტმა რის ვაივაგლახით მოაგროვა 10 პროცენტი, ეს მაშინ, როცა ბ. ელცინის „რეიტინგმა" 81 პროცენტი შეადგინა, ა. სობჩაკისამ — 50, გ. პოპოვისამ კი — 36, (მესამე ადგილი!). — „ოგონიოკი", № 52, 1990).

დიახ, გ. პოპოვს, როგორც მეცნიერსა და პოლიტიკოსს, პატივს სცემენ და აფასებენ რუსეთში და არ მარტო რუსეთში. ასეთი კაცის ნაფიქრ-ნააზრევი კი არ შეიძლება არ გაინტერესებდეს კაცს!

სწორედ ამ წინასწარი ინტერესით შევუდექი გ. პოპოვის ერთ-ერთი უკანასკნელი პუბლიკაციის კითხვას, სათაურით: „პერსპექტივები და რეალიები" (ჟურნ. „ოგონიოკი", № 50-51, 1990), მით უფრო, რომ ჩემი ყურადღება კიდევ უფრო დამაინტრიგებელმა ქვესათაურმაც მიიპყრო „დემოკრატიულ ძალთა სტრატეგიისა და ტაქტიკის შესახებ თანამედროვე ეტაპზე".

დიახ, გ. პოპოვი, თანამედროვე რუსეთის დემოკრატიულ ძალთა ერთ-ერთი აღიარებული ლიდერი, ამჯერადაც, როგორც ყოველთვის, პროგრესული რუსეთის სახელით ლაპარაკობს, ლაპარაკობს სტრატეგიისა და ტაქტიკის შესახებ ე. ი. ეს უკვე უბრალოდ საჟურნალო სტატია კი არა, რეაქციული ძალების წინააღმდეგ რუსეთის დემოკრატიულ ძალთა პოლიტიკური ბრძოლის მთელი პროგრამაა, — არაოფიციალური, ცხადია, ჰოდა, აგაშენა ღმერთმა! ჩვენ ხომ კარგა ხანია დიდი იმედით შევცქერით რუსეთში მიმდინარე პროგრესულ მოვლენებს, იქაურ დემოკრატიულ ძალთა თანდათანობითი დარაზმვისა და გაერთიანების პროცესს. მათს დაპირისპირებას სულ უფრო და უფრო მარჯვნივ გადახრილი „ცენტრის" წინააღმდეგ და, კაცმა რომ თქვას, ჩვენი ეროვნული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ძირითად და უმთავრეს გარანტად აკი სწორედ რუსეთის პროგრესულ-დემოკრატიულ ძალთა საბოლოო გამარჯვება მიგვაჩნია.

მაშ, გაუმარჯოს პროგრესულ რუსეთს!

და თუმცა, როგორც ბატონმა ე. შევარდნაძემ საკავშირო უმაღლესი საბჭოს 20 დეკემბრის სხდომაზე თავის სენსაციურ გამოსვლაში განაცხადა, ამ ბოლო დროს დემოკრატებმა მართლაც საეჭვოდ დათმეს პოზიციები, მაგრამ იმედს არ ვკარგავთ, რომ ეს შესაძლოა დროებითი, ტაქტიკური უკან დახევა იყოს არა სამარცხვინოდ „სოროებში მიმალვა" და რომ პროგრესული რუსეთი გადამწყვეტ მომენტში მაინც იტყვის თავის სიტყვას.

მაგრამ გ. პოპოვის ხსენებულ საპროგრამო სტატიას, ამ თავისთავად უაღრესად საყურადღებო და მრავალმხრივ საინტერესო ნაშრომს, რომ ეცნობი, ცოტა არ იყოს, ეჭვებით იმსჭვალები კაცი: არსებობს კი დღეს ეს პროგრესული რუსეთი, რომლის იმედიც მართლა შეიძლება გვქონდეს? მაინც სად არის, რომელია ეს პროგრესული რუსეთი? — ა. სახაროვის რუსეთი? ალ. სოლჟენიცინის რუსეთი? იქნებ გ. პოპოვის რუსეთი?

არ ვიცი, ვინ არის ან ვინ იქნება მეოთხე და მეხუთე, ან რა სტრატეგიასა და ტაქტიკას შესთავაზებენ ისინი ხვალ-ზეგ რუსეთის დემოკრატიულ ძალებს, მაგრამ, რაც შეეხება აქ მოხსენიებულ სამეულს, სამწუხაროდ. უკვე გადაჭრით შეიძლება აქედანვე განვაცხადოთ: იმპერიაში დღესდღეობით შემავალი მოკავშირე რესპუბლიკების ალბათ უმრავლესობისათვის და, კერძოდ, საქართველოსათვის (იქნებ ყველაზე მეტადაც!) სავსებით მიუღებელია ამ რუსი დემოკრატების მიერ შემუშავებული საზოგადოებრივ-პოლიტიკურ-ეკონომიკურ-დემოგრაფიული პროგრამები, განსაკუთრებით სტრატეგიის თვალსაზრისით, რადგან დეტალებში როგორც არ უნდა განსხვავდებოდეს მათი ნააზრევი, ყველა ამ „პროგრესულად მოაზროვნე" რუს ინტელიგენტს წყლის წვეთებივით ამსგავსებს ერთმანეთს ერთი საერთო და უმაღლესი წმინდათაწმინდა მიზანი, — მიზანი იმპერიის გადარჩენისა!

სახაროვისა და სოლჟენიცინის „ეროვნულ მოტივებზე" ჩვენშიც საკმაოდ ბევრი ითქვა და დაიწერა, ისე რომ, ამაზე სიტყვის გაგრძელება, ალბათ, აღარ ღირს.

რაც შეეხება ეროვნულ-დემოგრაფიული პრობლემების პოპოვისეულ გაგებას, ის ფაქტი, რომ იგი აღფრთოვანებულია სახაროვისეული კონსტიტუციის პროექტით და უშენიშვნოდ იზიარებს მის უმთავრეს იდეას მოკავშირე რესპუბლიკებისა და მათში შემავალი ყველა დონის ავტონომიურ ფორმირებათა გათანაბრების, ისტორიული სახელმწიფო საზღვრების იგნორირებისა და ე. წ. „ჰორიზონტალური კავშირების" საფუძველზე სახელმწიფოთა ახალი კავშირის შექმნის შესახებ, უკვე ბევრ რამეზე მეტყველებს.

მაგრამ, ვიდრე უფრო კონკრეტულად შევეხებოდეთ მის კონცეფციას ამ საკითხზე, ანუ ნაშრომის მე-4 თავს („დეფედერალიზაცია"). საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ პოპოვის „სტრატეგია და ტაქტიკა" იმპერიაში სადღეისოდ დაგროვილი ყველა მტკივნეული საკითხისადმი (სახელმწიფო სისტემის საერთო კრიზისი, დენაციონალიზაცია-პრივატიზაცია, როგორც ეკონომიკური პერესტროიკის საფუძველი: განსაბჭოება (დესოვეტიზაცია) და პერესტროიკის მთელ პერიოდში აღმასრულებელი ხელისუფლების საგანგებო რეჟიმის(!), (როგორც პოლიტიკური მექანიზმის ერთადერთი შესაძლო ვარიანტის, დამყარება; დეფედერალიზაცია და სხვ.) მიდგომის ორ შესაძლო ვარიანტს განიხილავს: აპარატულს და დემოკრატიულს.

თუმცა არა, — დროდადრო თავს იჩენს და სტატიის ბოლოს საბოლოოდ იმარჯვებს კიდეც მესამე ვარიანტი, ანუ კოალიციური, რაც სახელმწიფო აპარატისა და დემოკრატიულ ძალთა აუცილებელ კონსტრუქციულ თანამშრომლობას გულისხმობს, აქვე უნდა ითქვას, რომ ეს ვარიანტიც, თავის მხრივ, ორ ქვევარიანტში განიხილება: კოალიცია — აპარატის ხელმძღვანელობით და კოალიცია — დემოკრატების ხელმძღვანელობით./

კოალიციის ორივე ეს ფორმა ავტორს ყველაზე უფრო მისაღებად, ლამის პანაცეად მიაჩნია „გარდაქმნის დემოკრატიული ვარიანტის ცხოვრებაში რეალიზებისათვის" და აი, რატომ: „აპარატი, — წერს იგი, — კოალიციაში მოიტანს ძალას; კადრებს, გამოცდილებას. იგი ჩართავს მასში არმიას, მილიციას, სუკს. დემოკრატები მოიტანენ კოალიციაში მასების ნდობასა და მხარდაჭერას, უზრუნველყოფენ კოალიციისადმი მხარდაჭერას ასევე საკანონმდებლო და სხვა არჩევითი ორგანოების მხრივ, სადაც მათ უმრავლესობა ეყოლებათ". კიდევ რატომაო? — „სწორედ კოალიციას შეიძლება ჰქონდეს დასავლეთის მასშტაბური დახმარების იმედი. სწორედ კოალიცია უზრუნველყოფს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა ახალ კავშირში რესპუბლიკათა მაქსიმუმის შენარჩუნებას (!), რამდენადაც მათ ნდობა ექნებათ მის მიმართ".

დელ საზღვრებშიც კი არ სურს აღიაროს შენი თავისუფლება და დამოუკიდებლობა! თურმე ნუ იტყვით, გ. პოპოვისათვის დეფედერალიზაციის აპარატული ვარიანტი ყველაზე უფრო იმიტომ ყოფილა მიუღებელი, რომ იგი, აპარატი, (ყოველ შემთხვევაში, სიტყვით მაინც), აღიარებს კავშირში შემავალ რესპუბლიკათა, როგორც სუვერენულ სახელმწიფოთა, არსებული საზღვრების ურღვევობას, პოპოვს კი თვით სიტყვა „საზღვარიც" კი ირონიულ ღიმილს ჰგვრის, აქაოდა, ეს რა ახირებაა, არ მესმის, ღმერთმანი, განა შეიძლება, დღეს, კავშირში ხალხთა რეალურად არსებული განსახლების პირობებში, რაიმე საზღვრებზე სერიოზული ლაპარაკიო?!

„აპარატული ვარიანტი დეფედერალიზაციისა საფუძვლად ღებულობს რესპუბლიკათა სუვერენიტეტის იდეას. ასეთი მიდგომა სავსებით ლოგიკურია, როცა რესპუბლიკის საზღვრები რეალურად ასახავს მის შიგნით ხალხის (ერის — დ. გ.) განსახლების სურათს", — წერს იგი და მხრების ჩეჩვით უმატებს: — „მაგრამ ესტონეთში — რუსული ქალაქები და მთელი რაიონებია, საქართველოში — აფხაზეთი, აზერბაიჯანში — ყარაბაღი, მოლდავეთში — გაგაუზებისა და დნესტრისპირა რაიონები, ლიტვაში — პოლონური რაიონები, ხოლო რსფსრ-ზე ხომ ლაპარაკიც არ ღირს, რამდენადაც იგი მთელი სსრკ-ის განმეორებაა, ოღონდ, შედარებით მცირე მასშტაბით. აქ არის თათრეთ-ბაშკირეთის საზღვრები, აქაა ინგუშეთი, და საერთოდ, რაღა არ არის აქ! არც ყაზახეთშია უკეთესი სიტუაცია."

დიახ, პოპოვს ისტორიული ჭეშმარიტება არ აინტერესებს. ამის საბუთად მარტო საქართველო-აფხაზეთის ასეთ კონტექსტში მოხსენებაც კმარა, რაც პოპოვს იმაზე უფრო უარეს დილეტანტად წარმოაჩენს, ვიდრე ჩემი თავი მიმაჩნია ეკონომიკაში.

თუმცა, ვეჭვობ, რომ აქ მართლა დილეტანტის „არცოდნა-არცოდვასთან" გვქონდეს საქმე. სინამდვილეში, ძირითადად სწორად ხატავს რა სსრკ-ში ხალხთა განსახლების ამჟამად არსებულ დემოგრაფიულად ჭრელ სურათს, ბატონი დემოკრატი სხვა ბევრ ისეთ რამესაც ურევს ერთმანეთში, რაც მისი რანგის მეცნიერისა და პოლიტიკური მოღვაწისაგან, ერთი შეხედვით, ყოვლად წარმოუდგენელია. მისთვის მთავარია დღეს რეალურად არსებული ფაქტის კონსტატაცია, რასაც მსხვერპლად უნდა შეეწიროს ათასწლოვანი ისტორიული მეხსიერებანი. საქართველოს საზღვრებში მისი ღვიძლი ისტორიული კუთხის, აფხაზეთის, არსებობა, რსფსრ-ში თათრეთის, ბაშკირეთისა თუ ინგუშეთის და ბალტიისპირეთში რუსეთის იმპერიული ექსპანსიის შედეგად ამ ბოლო ხუთ ათწლეულში წარმოქმნილი რუსული ქალაქებისა და რაიონების არსებობა მისთვის თანაბარი მნიშვნელობის მოვლენებია!

არა, „არცოდნა-არცოდვა", ეტყობა, აქ მართლაც არაფერ შუაშია. ვფიქრობ, გ. პოპოვი სავსებით შეგნებულად ღუნავს ისარს იქეთ, რომ შეგვაგუოს აზრს: საბჭოური ინტერნაციონალიზმის ეპოქაში მოკავშირე რესპუბლიკებში, ანუ კოლონიებში, ემიგრირებულ-განსახლებული 60 მილიონზე მეტ რუს მოსახლეობას, მათი კომპაქტური დასახლების ადგილებში, ისეთივე ტერიტორიული პრეტენზიები შეიძლება ჰქონდეთ, როგორც აბორიგენულ მოსახლეობას. ამასთანავე, გ. პოპოვს როგორღაც საეჭვოდ ეჩხირება თვალში ეს რაღაც თათრეთ-ბაშკირეთია თუ ინგუშეთი (რომლებიც იქამდე „გათავხედდნენ", რომ ახლახან სუვერენიტეტიც კი გამოაცხადეს!)

ამიტომ, თუ სსრკ-ის დემონტაჟისა და ხელახალი მონტაჟის პერიოდში აპარატული ვარიანტი მოკავშირე რესპუბლიკათა სუვერენიტეტსა და საზღვრების ხელშეუვალობას აღიარებს, გ. პოპოვის აზრით, ამას უსათუოდ მოჰყვება რესპუბლიკათა შიგნით, განსაკუთრებით კი რსფსრ-ში, მრავალწლიანი სისხლისმღვრელი ეთნოკონფლიქტები და მილიონობით ოჯახების უსისტემო აყრა-გადასახლებანი.

თქმა არ უნდა, ერთობ შემზარავი და, ამდენად, სავსებით მიუღებელი ვარიანტია ეს აპარატული ვარიანტი!

მაშ, რა ვქნათო? დეფედერალიზაციის რა ალტერნატიული ანუ დემოკრატიული გზა შეიძლება დავუპირისპიროთ ამ აპარატულ ვარიანტსო? — კითხულობს ავტორი და, როგორ გგონიათ, რა გზას გვთავაზობს?

რა გზასა და — სახაროვისეულ

მაშ, დავიმახსოვროთ პოპოვისეული სტრატეგიისა და ტაქტიკის ერთი უმთავრესი მიზანი: „ახალ კავშირში რესპუბლიკათა მაქსიმუმის შენარჩუნება!"

ხოლო იმისათვის, რათა სუვერენულ სახელმწიფოთა ასეთი ნებაყოფლობითი, ნამდვილად მტკიცე კავშირი შეიკრას, წინასწარ უნდა მოხდეს ძველის (ახლანდელის) სრული დემონტაჟი (დეფედერალიზაცია), გვეუბნება გ. პოპოვი.

მაშ, გაუმარჯოს დეფედერალიზაციას!

მაგრამ მთავარი ესაა, როგორაქვს იდეის ავტორს წარმოდგენილი თვით დეფედერალიზაციის პროცესი, მისი განხორციელების გზები და საშუალებები.

და აი, სწორედ აქ მთავრდება რეალისტი მეცნიერ-პოლიტიკოსი გ. პოპოვი.

აქედანვე იწყება ფანტასტი-იდეალისტი გ. პოპოვი.

ისე რომ, თქვენ წარმოიდგინეთ დღეს რომ მ. გორბაჩოვის მაგიერ ამ ფანტასტ-იდეალისტს გ. პოპოვს ეპყრას ხელთ პრეზიდენტის კვერთხი. დეფედერალიზაციის კონცეფციიდან გამომდინარე, იგი, პრინციპში, წინააღმდეგი არ იქნებოდა, ვთქვათ, საქართველოს კავშირიდან გასვლისა, — ის ხომ დემოკრატია, ბოლოს და ბოლოს! — ოღონდ ერთი პირობით: თუ დავთანხმდებოდით ახალ ტერიტორიულ საზღვრებზე, თუნდაც კვლავ დაგვეკარგა ჩვენი ისტორიული, სისხლ-ხორცეული ტერიტორიების კიდევ ერთი მესამედი!

ეგ როგორაო?! როგორ და, ბატონი დამოკრატი მოკავშირე რესპუბლიკათა 1922 წლიდან დღემდე არსებულ ტერიტორიულ საზღვრებს არ ცნობს, სსრკ-ის პოლიტ-ადმინისტრაციული დაყოფის რუკა ფიქციად მიაჩნია, ეს რუკა უნდა დაიწვას, განადგურდეს და შეიქმნას სრულიად ახალი!

ჰოდა, ქართველ კაცზე უკეთ ვის მოეხსენება ოციან წლებში რესპუბლიკებს შორის საზღვრების დადგენის ბოლშევიკური პრინციპებისა და მეთოდების ცინიკური და ძალადური ხასიათი! იქნებ იმ წლებში ფეხქვეშგათელილი ისტორიული სამართლიანობის აღდგენას გულისხმობს გ. პოპოვი? განა უფრო უპრიანი არ იქნებოდა მის დემოკრატიულ დეფედერალიზაციას ოციანი წლების საზღვრებში, ანუ საწყის მდგომარეობაში დაებრუნებინა რესპუბლიკები?

ჰმ, ეს რომ პოპოვს უთხრათ, სიცილით მოკვდება კაცი, რადგან სამართლიანობაზე მას სულ სხვა წარმოდგენა ჰქონია. აკი მოგახსენეთ, ისტორიულ კი არა, დღევან-

იმპერიულ „დაყავი და იბატონეს" გზას, რომელშიც, პოპოვის ღრმა რწმენით, გენიალურადაა მოხსნილი აპარატული ვარიანტისათვის დამახასიათებელი ყველა წინააღმდეგობა: „მე მეჩვენება, — წერს იგი, — რომ სახაროვისეულ იდეაში უმთავრესია რესპუბლიკათა დღეს არსებული საზღვრების, როგორც სსრკ-ის დემონტაჟის მთავარი საზომის (мерило) არცნობა და მე მას სავსებით ვეთანხმები".

შემდეგ გ. პოპოვი „შემოქმედებითად ავითარებს" სახაროვისეულ მოძღვრებას და, თავის მხრივ, გვთავაზობს რა „დემოკრატიულ ვარიანტს", მას ორ ქვევარიანტად წარმოგვიდგენს:

პირველი: „გარდამავალ პერიოდში დღეს არსებული ყველა საზღვარი არარსებულად ცხადდება. სსრკ ცხადდება ერთიან სახელმწიფოდ, როგორიც ის იყო კიდევ სინამდვილეში სკკპ დიქტატურის არსებობის მანძილზე".

ამ გარდამავალ პერიოდში უნდა მოხდეს სსრკ მთელი სახელმწიფო ქონების დენაციონალიზაცია-განსახელმწიფოებრიობა (разгосударствление), ხოლო, რამდენადაც ეს ქონება ათეული წლების მანძილზე არსებითად საზღვრების სრული იგნორირებით იქმნებოდა, იგი უნდა გაიყოს არა რესპუბლიკებზე, არამედ ყველა მოქალაქეზე თანაბრად. დენაციონალიზაციას ცენტრი ახორციელებს, რასაც უშუალოდ მოჰყვება დეფედერალიზაციის პროცესი.

დიახ, ახლა, რაკი ასე სამართლიანად, დემოკრატიულად, თანაბრად, კაპიკ-კაპიკ გავინაწილეთ შიდასაზღვრებმოშლილი ერთიანი სახელმწიფოს მთელი ქონება, (ალბათ ტანკებიან-თვითმფრინავებიან-რაკეტებიანად), უკვე შეგვიძლია დეფედერალიზაციის ეტაპზე გადავიდეთ.

ეს ეტაპი იწყება რეფერენდუმით, რომელიც დემოგრაფიულად შორეულ რაიონებში ეწყობა შეკითხვით: რომელ რესპუბლიკაში გსურთ იცხოვროთ?

ამის შემდეგ შემოიღება თავისუფალი გადასახლების რეჟიმი, „რომლის დროსაც ის რესპუბლიკები, საიდანაც ხალხი მიემგზავრება, თავის თავზე ღებულობს მათს გასახლებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, წინასწარ უშენებენ რა მათ სახლებს ახალ საცხოვრებელ ადგილებში"...

ასე და ამგვარად, „სსრკ-ში ხდება სამი, ოთხი და თუნდაც ხუთი ათეული ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოს ფორმირება".

ესეც ასეე! ახლა მაგ ახალგამოჩეკილ და ახალსაზღვრებმორგებულ დამოუკიდებელ სახელმწიფოებში ჩამოყალიბდება დემოკრატიული მთავრობები (სხვა ვარიანტები რატომღაც ვერც კი წარმოუდგენია გ. პოპოვს!) და ისინი გადაწყვეტენ, საჭიროა თუ არა რესპუბლიკების ახალი კავშირი.

ეს ქვევარიანტი, ავტორის თქმით, „გულისხმობს ძალიან ძლიერ ცენტრს, რომელიც ყველა დემოკრატისა და ყველა რესპუბლიკის ნდობით უნდა სარგებლობდეს".

ვითომ გულწრფელად სჯერა პოპოვს, თუნდაც იდეალში, ასეთი ცენტრის არსებობის შესაძლებლობა? ჰაი-ჰაი რომ არ სჯერა! ამიტომაცაა, იქვე, მომდევნო აბზაცში, მთელი იმედები არმიაზე რომ გადააქვს: „ეს ქვევარიანტი დღეს უკვე ნაკლებად რეალურია, მაგრამ მაინც შესაძლებელია, სანამ არსებობს ერთიანი არმია, ხოლო ადამიანთა წინაშე ცხადად წამომდგარა ეროვნებათაშორის სისხლიან შეტაკებათა შემზარავი აჩრდილი იმ შემთხვევაში, თუ კავშირიდან გასვლისას ორიენტაცია ახლანდელი საზღვრების შენარჩუნებაზე იქნება აღებული".

არანაკლებ საინტერესო და ამდენადვე ფანტასტიურია პოპოვისეული დეფედერალიზაციის მეორე ქვევარიანტი: ახლავე, დენაციონალიზაციამდე, ჩატარდეს ზემოხსენებული რეფერენდუმი და ამ გამოკითხვის საფუძველზე დაზუსტდეს რესპუბლიკათა საზღვრები.

„ამ რეფერენდუმის თეორიული (წაიკითხე „პრაქტიკულიც"! — დ. გ.) შედეგები შეიძლება იყოს: ესტონეთისა და მოლდავეთის შემცირება არამკვიდრი მოსახლეობით დასახლებული რაიონების ხარჯზე, — ჭრის და კერავს გ. პოპოვი, — თათრეთის და ბაშკირეთის საზღვრების არსებითი შეცვლა, სამხრეთ ოსეთის გამოსვლა საქართველოს შემადგენლობიდან (აფხაზეთი? — დ. გ.), ყარაბაღისა აზერბაიჯანიდან, ყირიმის ჩამოცილება უკრაინიდან და სხვ."

ამ ცვლილებებთან შედარებით, გვარწმუნებს ავტორი, ბევრად უფრო საშიში და შემზარავია ეროვნებათაშორის სისხლის ღვრის პერსპექტივა, რაც უსათუოდ მოჰყვება ასეთ ცვლილებებზე უარის თქმასო. ეს ის გზააო, რომელმაც მომავალში უნდა შეამციროს და აღმოფხვრას ეროვნებათშორისი სადაო-საკონფლიქტო საკითხებიო და იქვე დემოკრატიული რიხით უმატებს: ამ მეტად საჭირო ღონისძიების განხორციელება ახლავე შეიძლება, ვიდრე ქვეყანას ჯერ კიდევ ჰყავს ერთიანი (ე. ი. რუსული?) არმიაო! დიახ, ისევ და ისევ არმია!

ჰოდა, რაკი ცენტრი, არმიაზე დაყრდნობით, ამ მეორე ქვევარიანტის თანახმად, საბოლოოდ დააზუსტებს იმ 40 თუ 50 რესპუბლიკის საზღვრებს, შემდგომ ეტაპზე ადგება და მთელ სახელმწიფო ქონებას რესპუბლიკების მიხედვით დაანაწილებს, რესპუბლიკები კი ადგილებზე თავად მოახდენენ კუთვნილი სახელმწიფო ქონების დენაციონალიზაციას.

„ორივე დემოკრატიული ქვევარიანტის მიხედვით, — გვამოძღვრავს გ. პოპოვი, — რესპუბლიკად შეიძლება იქცეს მოკავშირეც, ავტონომიურიც, ავტონომიურის ნაწილიც და თვით ავტონომიური ოლქიც, თუ მას აქვს საკმაოდ დიდი ტერიტორია, სადაც ეს ხალხი უმრავლესობას შეადგენს".

როგორია, ჰა?! ცხადია, ვერ იტყვით გადაჭრით, თითქოს მოვლენების ასეთი განვითარება ერთსახოვან რეაქციას გამოიწვევს ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში. ერთნი, ზემოთ მოტანილ ციტატაში მოხსენიებული რესპუბლიკებისაგან განსხვავებით, პირიქით, დიდად მოგებულნიც კი დარჩებიან (მაგ. სომხეთი...), მაგრამ, რაც შეეხება საქართველოს, მე ისე მეჩვენება, თითქოს ამ საპროგრამო სტატიაზე მუშაობის დროს გ. პოპოვს, სახაროვისა არ იყოს, წინ სწორედ საქართველოს, ამ „მცირე იმპერიის", რუკა ჰქონდა გადაშლილი და „თაყას არშინიც" სწორედ იმ მიზნით ჰქონდა მომარჯვებული, რომ როგორმე დაენგრია ეს „ხალხთა საპყრობილე" და ქართველების მიერ დამონებული ეროვნული უმცირესობებისათვის შვება და თავისუფლება მოეტანა.

ვერც გაამტყუნებ: ის ხომ დემოკრატია, ე. ი. ჰუმანისტი! აბა, გაიხსენეთ, რამდენ დიდ ჰუმანისტს (ჯ. ბაირონი, ნ. ბური...) გაუწირავს თავი სხვა ხალხის ეროვნულ-გამათავისუფლებელ ბრძოლაში! ჰოდა, განა შეუძლია მოსსოვეტის დემოკრატ თავმჯდომარეს მოსვენებით იძინოს, როცა კავკასიიდან, „მცირე იმპერიიდან", წარამარა ჩაესმის ყურში იმპერიული უღლისქვეშ მგმინავი აფხაზებისა და ოსების უსასოო კვნესა-გოდება?! როგორ გეკადრებათ! ფიქრობდა კაცი, გეგმებს ადგენდა და აი, მიაგნო კიდეც მათი მონობიდან გამოხსნის დემოკრატიულ ქვევარიანტებს, თეორიულად უკვე გაათავისუფლა კიდეც ისინი და ახალი სახელმწიფო საზღვრებიც გაგვივლო: იქეთ ზუგდიდთან, აქეთ — გორთან! ხოლო მის მიერ დაგეგმილი რეფერენდუმის შემდეგ შევინარჩუნებთ თუ არა ჯავახეთსა და ქვემო ქართლს, ეგ კიდევ საკითხავია... სხვათა შორის, იქნებ აქ იმის გახსენებაც ღირდეს, რომ ბატონი გაბრიელი წარმოშობით ბერძენი გახლავთ და არ არის გამორიცხული, რომ „მცირე იმპერიაში" ერთი პატარა სუვერენული სახელმწიფო თავისი თანამემამულეებისათვისაც ჰქონდეს დაგეგმილი...

მერე რა! დიდი ამბავი! სამაგიეროდ, ეთნოკონფლიქტები აღარ იქნება და მოისვენებთ ერთხელ და სამუდამოდ! — გვანუგეშებს გ. პოპოვი, — შევკრათ, თქვე დალოცვილებო, სუვერენულ რესპუბლიკათა ახალი ძმური კავშირი და ვიცხოვროთ სიამტკბილობით, ხოლო თუ იმ კავშირში შემოსვლას არ ისურვებთ, ღმერთმა ხელი მოგიმართოთ, ჩვენ, დემოკრატები, ძალას არავის დავატანთ, იყავით თქვენთვის, ჩემო საყვარელო ქართველებო (პრეზიდენტსაც ნამეტანი უყვარხართ!), და იცხოვრეთ ბედნიერად ჩვენს მიერ დაზუსტებულ ახალ საზღვრებშიო!

მოდი და, ნუ აგიჩუყდება გული, ქართველო! მაინც რა ჰკვიანები, რა კეთილები არიან ეს რუსი დემოკრატები და მათი ლიდერები, არა? აბა, ერთი ნახეთ, როგორი აღშფოთებით, პრეზიდენტის მიმართ როგორი საყვედურით იწყებს სტატიის პირველსავე თავს გ. პოპოვი: „კიდევ ერთ რესპუბლიკაში — საქართველოში — არჩევნებში გამარჯვება წილად ხვდათ სსრკ-დან გასვლის მომხრეებს, პრეზიდენტი კი ერთმნიშვნელოვნად უარყოფს ამგვარ პერსპექტივებს".

თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს სტრიქონები იმპერიაში ამჟამად შექმნილ კომიკურ-კურიოზულ პასაჟებს მოჰყვება („სსრკ უმაღლესი საბჭო რესპუბლიკებისაგან მორჩილებას მოითხოვს, რესპუბლიკათა უმაღლესი საბჭოები კი ჯიუტად იცავენ თავიანთი სუვერენიტეტის უზენაესობას; სსრკ უმაღლესი საბჭო საათობით ხვეწს კანონებს, რომლებსაც, უკეთეს შემთხვევაში, მხოლოდ თუ წაიკითხავენ რესპუბლიკებში; სსრკ-ის უმთავრესი ბირთვის, რუსეთის, ხელმძღვანელი უარყოფს სსრკ პრეზიდენტის პროგრამას; რუსეთის წარმომადგენლები, რომლებიც ქვეყნის პარლამენტში უმრავლესობას შეადგენენ, ხმას აძლევენ ერთ პროგრამას, ხოლო ამავე რესპუბლიკის პარლამენტი იწონებს მეორე პროგრამას..."), მკითხველი საქართველოსთან დაკავშირებით მოტანილ პასაჟსაც ამავე რიგის კურიოზად აღიქვამს, სადაც ავტორის სიმპატიები თავისთავად იგულისხმება თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოტრფიალე რესპუბლიკის და არა მისი დამთრგუნველი იმპერატორ-პრეზიდენტის მხარეზე, მაგრამ თურმე სადა ხარ! თურმე რა მზაკვრულად ჩაფიქრებული „ქვევარიანტებით" გვპირებს გათავისუფლებას ეს ჩვენი ქვეგამხედვარი დემოკრატი!

კიდევ კარგი, რომ, როგორც თავადვე გულახდილად კისრულობს გ. პოპოვი, თურმე „დეფედერალიზაციის დემოკრატიულ ვარიანტს თვით დემოკრატთა შორისაც კი უმრავლესობა მხარს არ უჭერს...", მაგრამ სად არის გარანტი, რომ ადრე თუ გვიან ეს უმრავლესობა უმცირესობად არ იქცევა?!

ამიტომ, რადაც უნდა დაგვიჯდეს, უნდა გავისწროთ, დროით უნდა გავეცალოთ ორივე რუსეთს — რეაქციულსაც და დემოკრატიულ-პროგრესულსაც, რადგან, როგორც განხილული სტატია გვიჩვენებს, საჩვენო სიკეთეს არც ერთისაგან უნდა ველოდეთ და არც მეორისაგან! ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროთ თავიანთი ვარიანტებიც და ქვევარიანტებიც, აპარატულიც და დემოკრატიულიც!

ამას წინათ წერილში „ნუ განვაზოგადებთ" („ახალგაზრდა ივერიელი", 10. I. 91) თ. მირიანაშვილი წერდა: „საქართველოს თავისუფლება და ბედნიერება მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღწევა, თუ რუსეთში გაიმარჯვეს დემოკრატებმა..." და კიდევ: „ჩვენი იმედები იმას ემყარება, რომ რუსები ოდესმე (ვიმედოვნებთ, რომ მალე) მაღალი პოლიტიკური ზნეობის პოზიციიდან თავად მოგვანიჭებენ თავისუფლებას".

გ. პოპოვის ოპონენტი რუსი დემოკრატებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ თუ როგორი თავისუფლების მონიჭებას გვპირებს თავად გ. პოპოვი, ეს უკვე ვნახეთ!

ამ კაცის პოლიტიკური პორტრეტის წარმოსადგენად რად ღირს თუნდაც ეს ორი ფრაგმენტი: პირველი — „რა თქმა უნდა, რუსეთი რუსეთად დარჩება, სსრკ — რესპუბლიკების კავშირად (!). ამიტომ ლაპარაკიც კი ზედმეტია ჩვენი ქვეყნის ხალხთა მიმართ დასავლეთის ან აღმოსავლეთის სხვადასხვა ქვეყნის მოდელების მორგებაზე. ჩვენ მეტისმეტად დიდი და თავისებური ფიგურა ვართ საიმისოდ, რომ იმპორტული კოსტუმი ზედგამოჭრილად მოგვერგოს. ჩვენ ჩვენი უნდა შევქმნათ..."

და მეორე: „თვითონ მე ჩემს თავს კვლავაც ვთვლი სოციალისტად... პატიოსანი სოციალისტი ვალდებულია დაეხმაროს ქვეყანას თავი აარიდოს ნაადრევ სოციალიზმს, ვალდებულია დარჩეს პარტიაში, რომელიც იცავს ერთ-ერთი კლასის ინტერესებს..."

ჯერ ერთი, ძალზე ძნელი დასაჯერებელია, რომ გ. პოპოვს არამცთუ პალტო და კოსტუმი, თუნდაც მაისური მაინც ეცვას ტანზე არაიმპორტული, სამამულო წარმოებისა, და ამდენად გაუგებარია, რატომ არ შეიძლება რუსეთმაც და მთელმა კავშირმაც ასეთივე წარმატებით მოირგოს ტანზე რომელიმე მოწინავე ცივილიზებული ქვეყნის მოდელი, რატომ მოუწადინებია მეცნიერ-პოლიტიკოსს მაინცდამაინც კიდევ ერთი ახალი რუსული ველოსიპედის გამოგონება და, მეორეც, — თუკი მართლა ასე შეუძლებელია იმპორტული კოსტუმის მორგება, რატომ ასე ეადვილება იმპერიაში შემავალი ყველა ხალხისათვის ერთნაირი — საბჭოურ-სოციალისტური კოსტუმის მორგება?!

ეტყობა, საბჭოური ჰიბრიდი ადამიანისა — „ჰომო-სოვეტიკუსი" მისთვის მართლა უკვე უდავოდ არსებული რეალობაა, რომელსაც ერთნაირი წარმატებით შეიძლება მოარგო რუსული კოსტუმი კავკასიაშიც, ციმბირშიც, შუა აზიაშიც, ბალტიისპირეთშიც:... არადა, საბჭოებზე რომ გული აქვს აყრილი და „დესოვეტიზაციის" სტრატეგიული გეგმა აქვს მომარჯვებული? არა უშავს, არ იქნება საბჭო, იქნება კოალიცია. მთავარია, რომ ყველა შემთხვევაში იგი სოციალისტური იყოს, თუმცა, ამასთანავე, უარს არ ამბობს სოციალიზმთან ისეთ შეუთავსებელ უცხო ფენომენზე, როგორიცაა თავისუფალი ბაზარი!

რაც შეეხება გ. პოპოვის პარტიულობას, არ ვიცი, რომელი კლასის ინტერესების დაცვას აპირებს, მაგრამ თვით რუსეთის ფედერაციის ინტერესებს რომ კბილებით იცავს, ამაში ეჭვი არ მეპარება, — იმ რუსეთის ფედერაციისა, უფროს ძმად რომ მოუნათლავთ „ხალხთა ძმურ ოჯახში". რა ვუყოთ, თუ ეგ „უფროსი ძმა" სხვა „უმცროს ძმებთან" ერთად შიმშილობს, სცივა, სწყურია... თავის თავს დააბრალოს! თავის ისეთ „პროგრესულად მოაზროვნე" დემოკრატ შვილებს დააბრალოს, როგორიც პოპოვია, რადგან მისი საშველი მანამდე არ იქნება, ვიდრე ერთხელ და სამუდამოდ არ მოიშორებს ცრუ სიდიადის, გამორჩეულობისა და განსაკუთრებულობის კომპლექსებს, ვიდრე არ მოეშვება „უმცროსი ძმების" ჭკუის სწავლებას, მათი მამულების „თაყას არშინით" დანაწილება-დაქუცმაცების ცდებს, არ დაუბრუნდება საკუთარ თავს და სხვებსაც არ მისცემს თავისუფალი სუნთქვის საშუალებას!

**დურმიშხან გრიგოლაშვილი**

---

**ვიქტორ ხლავკინი**

# ძვირფასო მიხეილ ზალმანის ძევ!

ამ ბარათს გწერთ კაცი, რომელიც, რასაკვირველია, არ გემახსოვრებათ, თქვენ ხომ კარგა ხანია რაც თქვენს ისტორიულ სამშობლოში ცხოვრობთ. მაგრამ, ვიმედოვნებ, არ დაგავიწყდებოდათ 1972 წლის 27 თებერვალი, ის ღირსსახსოვარი დღე, როცა ვერხნოჟუისკის სამწერლო ორგანიზაციის ღია კრებაზე ამ ორგანიზაციიდან გაგრიცხეს. რაღა თქმა უნდა, უამრავი სიმპოზიუმების, კონგრესების პენ-კლუბების შემდეგ თქვენი ახლანდელი მეგობრების: კურტ ვონეგუტის, ეჟენ იონესკუს, რომის პაპისა და მაიკლ ჯექსონის ფონზე მეხსიერების დაფიდან უკვე წაშლილი გექნებათ უბრალო, ახალგაზრდა მუშის, ვერხნოჟუისკის ჩარხსაშენებელი ქარხნის მრავალტირაჟიანი გაზეთის შტატგარეშე კორესპონდენტის სახე, იმ კორესპონდენტისა, — რომელმაც იმ საღამოს ტრიბუნიდან დასჭექა: „დე, დასტოვონ ზედმეტმა ვირთხებმა ჩვენი დიადი ქვეყანა, დე, გაიქცნენ ხომალდიდან, ეს მხოლოდ ხელს შეგვიწყობს უფრო ადვილად და ლაღად შევცუროთ ნათელ მომავალში!"

ეს მე ვიყავი.

მას შემდეგ 17 წელი გავიდა. ახალგაზრდა მუშა დაკაცდა; მისი ნახვა ყოველ საღამოს შეიძლება ვერხნოჟუისკის ტუალეტის გვერდით მდებარე ლუდხანაში.

დამეთანხმებით, ძვირფასო მიხეილ ზალმანის ძევ, რომ ყოველივე იმაში, რასაც თქვენ ჩვენი რუსული ემიგრაციის ლიტერატურის სფეროში მიაღწიეთ, ჩემი მოკრძალებული წვლილიცაა. ხომ ფაქტია, რომ თუ არა სიტყვა „ვირთხა", ადვილი შესაძლებელია, არაფერიც არ მომხდარიყო — მოგარტყამდნენ რაღაც საყვედურს, დარჩებოდით მწერალთა კავშირის წევრად, „ოვირიდან" უკან გამოიტანდით განცხადებას, ისევ მიგამაგრებდნენ სპეცსასურსათო მაღაზიას, მოგცემდნენ მწერალთა ბიჭვინთის შემოქმედებითი სახლის საგზურს იანვრის თვეში... მაგრამ მაშინ, ჩემი გამოსვლის შემდეგ, როცა დარბაზში მქუხარე, შეურაცხმყოფელ წამოძახილებში გადაზრდილი აპლოდისმენტები ატყდა, თქვენს ყოყმანს, „წავიდე თუ არ წავიდე?" ბოლო მოეღო და წახვედით.

და აჰა, ვინ ხართ დღეს თქვენ და ვინ ვარ მე...

არა, დასაწყისისთვის; მადლობა თქვენ, ჩემი ცხოვრება უკეთესობისკენ შეიცვალა. ამირჩიეს მწერალთა კავშირის მდივნად, ჩემი საგაზეთო ინფორმაციები, კორესპონდენციები და ფოტოზე მინაწერები გამოსცეს ორ ტომად, რომელთა ყიდვაც ყოველ სასურსათო მაღაზიაში შეიძლებოდა წიწიბურისა და ძეხვის დამატებად. ეს ორტომეული დღემდე დევს თაროებზე, მაგრამ უკვე წიგნის მაღაზიებში, რამეთუ მასთან ერთად გასაყიდი არაფერია.

სამაგიეროდ, დღეს ჩვენ პირველი ადგილი გვიკავია პერესტროიკასა და გლასნოსტში — ჩვენს რაიონში 18 პროცენტით მეტია მხილებული დამსმენთა და სახელმწიფო ქონების გამფლანგველთა რიცხვი, ვიდრე მეზობელ ნიჟნეჟუისკში. და ამჯერადაც გმირად ვიქეცი. მოკლედ, გამრიცხეს მწერალთა კავშირიდან იმისათვის, რისთვისაც მიმიღეს თავის დროზე, ჩამომართვეს პარტბილეთი იმისათვის, რისთვისაც მომცეს, გამომასახლეს ბინიდან იმისათვის, რისთვისაც შემასახლეს... ამას გარდა, მიმატოვა ცოლმა, გადამიყვარა სწორედ იმის გამო, რისთვისაც შემიყვარა... ყველამ ზურგი შემაქცია.

და აი, ერთ დღეს, როცა ფხიზელმა მიმოვიხედე გარშემო, აღმოვაჩინე, რომ თქვენს მეტი, ძვირფასო მიხეილ ზალმანის ძევ, ამქვეყნად არავინ გამაჩნია. კი, მიხმობდა თავისთან ჩვენი ადგილობრივი „პამიატი", მაგრამ არ მივედი, თქვენდამი პატივისცემის ნიშნად...

დადგა მონანიების ჟამი. და, იცით, რატომ გწერთ ამ უსტარს, ძვირფასო მიხეილ ზალმანის ძევ? შემორჩენილი სინდისი მქენჯნის, მინდა განვიწმინდო, თქვენს წინაშე მუხლებზე დავეცე და პატიება გამოგთხოვოთ. მაგრამ, ვგრძნობ, შორიდან ამის გაკეთება ძნელი იქნება — მეტისმეტად მძიმეა ჩემი ცოდვა. ამიტომ, აი, როგორი თხოვნა მაქვს, ძვირფასო მიხეილ ზალმანის ძევ, გამომიგზავნეთ, გეთაყვა, ვიზა და დაუყოვნებლივ გამოვეშურები თქვენს ისტორიულ სამშობლოში გულწრფელი მონანიებისათვის, ღვთის წყალობით, საზღვარგარეთ წასვლა ახლა ადვილია. ვეცდები, შევიძლებ(?) თქვენს წინაშე და ყველაფერს პატიოსნად მოვინანიებ. თუ გნებავთ, თვალებში ჩამაფურთხეთ, — ოღონდ კი ვიზა გამომიგზავნეთ! მერწმუნეთ, უპრეტენზიო კაცი ვარ და მძიმე ტვირთად არ დაგაწვებით. ნუთუ თქვენს სამსართულიან სახლში ერთი პაწია ოთახი არ მოიძებნება მონანიე ქრისტიანისათვის? სათოხლავს კი თვითონვე გამოვიმუშავებ თელ-ავივის ბიბლიოთეკებში მკითხველებთან თქვენს შეხვედრებზე გამოსვლებით. ამ მიზნით თქვენებურად რამდენიმე სიტყვაც კი ვისწავლე. დაე, ყველამ გაიგოს, თვალნათლივ დაინახოს, რა ეკლიანი გზით ვიდოდნენ ლიტერატურული მწვერვალებისაკენ ჩვენი სახელოვანი ებრაული წარმოშობის რუსი მწერლები!

და ვინ იცის, ძვირფასო მიხეილ ზალმანის ძევ, ეგება დროთა განმავლობაში შემერჩიოთ კიდეც, და ჩვენ საბოლოოდ დავმეგობრდეთ, ბოლოსდაბოლოს, უცხოები ხომ არა ვართ. დავსხდებით ხოლმე საღამოობით და გავიხსენებთ წარსულს. ამას გარდა, როგორც ჩვენთან წერენ, თქვენ, ემიგრანტებს, თურმე ხშირად გემართებათ ნოსტალგიის შეტევები, როცა გინდათ ყველაფერი მიატოვოთ, გაიქცეთ აეროპორტში, აიღოთ ბილეთი ერთი მიმართულებით, ამ დასაქცევი ქვეყნისაკენ, — და ამ დროს მე თქვენს გვერდით ვარ! ერთს შემავლებთ თვალს და დაბრუნების სურვილი მყისვე გაგიქრებათ!

და ისევ ვიცხოვრებთ და ვიმუშავებთ თქვენს ისტორიულ სამშობლოში, შორიდან მივადევნებთ თვალს პერესტროიკის წარმატებებს, მთელი გულით ვუთანაგრძნობთ ჩვენს ყოფილ თანამემამულეებს.

ხოლო თუ აქ, ამათთან საქმე უარესად წავა და მე კვლავ დავშორდები საყვარელ დერჟავას, გპირდებით, სიტყვა შეგაწიოთ იმავე „პამიატთან"... ჯერჯერობით კი გული თქვენსკენ მომიწევს. მთლიანად დავკარგე მოსვენება. ყოველ საღამოს გამომეცხადება ხოლმე უზარმაზარი ვირთხა კბილებში გაჩრილი „ოგონიოკით", რომელშიც მლანძღავენ იმისათვის, რისთვისაც ადრე მაქებდნენ და თანაც იმავე ჟურნალში.

ნუ მკრავთ ხელს, მიშველეთ, ძვირფასო მიხეილ ზალმანის ძევ! ველი პასუხს. როგორც ბულბული გაზაფხულს! ზაი გიზუნტ!

**თქვენი ივანი.**

„ოგონიოკი", № 40, 1989 წ.

თარგმნა **ფელიქს კოჭიაშვილმა.**

# აღორძინება — არგო

გვერდის სპონსორები არიან საქველმოქმედო ასოციაცია „აღორძინება“ და ამავე ასოციაციის ფირმა „არგო“.


ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს უზენაესი საბჭოს მუდმივ კომისიებში

გასული წლის დეკემბერში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმმა მიიღო გადაწყვეტილება ქართულ ფეხბურთში რეფორმების გატარების შესახებ.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საექსპერტო კომიტეტმა უკანონოდ მიიჩნია პრეზიდიუმის ეს გადაწყვეტილება, რადგან ის არღვევდა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ძირითად საკანონმდებლო აქტს — ეროვნული ჩემპიონატის საშეჯიბრებო დებულებას.

იმის გამო, რომ პრეზიდიუმმა უგულებელყო საექსპერტო კომიტეტის მრავალგზისი მითითება დებულების დაცვის შესახებ, საექსპერტო კომიტეტმა განცხადებით მიმართა საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს.

გუშინწინ უზენაესი საბჭოს განათლების, კულტურის, მეცნიერების და ჰუმანიტარულ, სოციალურ საკითხთა მუდმივმოქმედმა კომისიებმა ერთობლივ სხდომაზე, სხვა საკითხებთან ერთად, განიხილეს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საექსპერტო კომიტეტის განცხადება. სხდომამ ერთხმად დაადგინა:

1. ცნობად იქნეს მიღებული სფფ-ის საექსპერტო კომიტეტის წევრთა განცხადება.

2. მიჩნეულ იქნეს, რომ სფფ-ის პრეზიდიუმმა დაარღვია საქართველოს 1990 წლის ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატის დებულების მეოთხე თავის მეხუთე მუხლი.

3. დაევალოს სფფ-ს პრეზიდენტსა და პრეზიდიუმს დაიცვან დებულება და არ დაუშვან მისი დარღვევა.

4. სფფ-ს პრეზიდიუმმა წერილობით აცნობოს საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს ზემოხსენებული დადგენილების შესრულება.

უნდა ითქვას, რომ წლების განმავლობაში ჩვენში, სამწუხაროდ, კანონის უზენაესობის პრინციპი ფეხქვეშ ითელებოდა. როგორც ჩანს, კანონის დარღვევის ტენდენციას საქართველოში დღესაც ჰყავს მომხრეები. სწორედ მათ გვინდა შევახსენოთ, რომ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ყველასაგან უკლებლივ, პრინციპულად მოითხოვს კანონის უზენაესობის დაცვას.

საქინფორმი

## წიგნის მოყვარულთა საყურადღებოდ

საგამომცემლო კოოპერატივი „ლალი“ გაცნობებთ, რომ 1991-1994 წლებში გამომცემლობა „მერანთან“ ერთად გამოსცემს „საზღვარგარეთული დეტექტივის“ 10 ტომეულს, რომელიც მოიცავს ამ ჟანრის რჩეულ ნაწარმოებებს მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრიდან დღემდე.

გამოსაცემი წიგნების უმრავლესობა ითარგმნება პირველად და უცნობია ქართველი მკითხველისათვის.

**აბონემენტების გაცემა იწარმოებს მაღაზია № 31-ში**

**მისამართი: რუსთაველის გამზირი № 44.**

## ორგანიზაციების ხელმძღვანელთა და საქმიანი წრეების საყურადღებოდ

1990 წლის ოქტომბერში შეიქმნა და წარმატებით ფუნქციონირებს დარგთაშორისი სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „საქინფორმსამართალი“.

გაერთიანების ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა თანამედროვე ტექნოლოგიების საფუძველზე სამართლებრივი და იურიდიული ინფორმაციის რესპუბლიკური მონაცემთა ბანკის შექმნა და ექსპლოატაცია.

ზემოაღნიშნულთან ერთად ჩვენ მზად ვართ დავდოთ ხელშეკრულებები ნებისმიერი პროგრამული და პროგრამულ-ტექნიკური კომპლექსების შექმნასა და სხვა საქმიან წინადადებებზე.

დღეისათვის დსსგ „საქინფორმსამართალი“ გთავაზობთ:

—გამოთვლითი ტექნიკის საშუალებებს PC/XT/AT/AT-386 და PS/2/25/30/50/60/70/80;

—APPOLO — მუშა სადგურებს;

—აშშ-ის წარმოების მინი— და სუპერ— ეგმ-ებს;

—სარედაქციო-საგამომცემლო სისტემებს;

—დაპროექტების ავტომატიზაციის პროგრამულ და ტექნიკურ საშუალებებს;

—EHCKNET, ARCNET, P-LINK ლოკალურ გამოთვლით ქსელებს;

—ორგტექნიკას;

ტექნიკის მიწოდება, უმეტეს შემთხვევაში, წარმოებს ხელშეკრულების ხელმოწერიდან ერთი დღე-ღამის განმავლობაში.

ჩვენი მისამართია: 380010, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების 32.

ჩვენი ტელეფონებია: 98-20-68, 98-20-69, 36-66-47.

კავშირი გაერთიანება „საქინფორმსამართალთან“ თქვენი წარმატების გარანტიაა!

სარეკლამო სააგენტო
„არგო-ბლიკი“

## კიოკუშინკაი — შეხვედრა ჭეშმარიტ კარატესთან

როგორც ქართული სპორტის მოყვარულთათვის ცნობილია, დღეისათვის საქართველოში კარატემ ფართო გაქანება მიიღო. უკვე ჩატარდა რამდენიმე ჩემპიონატი უკონტაქტო კარატეში. ლეგალიზაციის მცირე ხნის მიუხედავად საერთაშორისო ასპარეზზეც უკვე გადაიდგა პირველი ნაბიჯები. მხოლოდ ამ სტილით არ ამოიწურება აღნიშნული საბრძოლო ხელოვნების ასპარეზი.

არსებობს კიდევ სრულიად ახალი რეფორმისტული სტილი კიოკუშინკაი კარატე (შეხვედრა ჭეშმარიტ კარატესთან) და რომლის სიმბოლოა სამყაროს შესწავლის პოზიცია — კანკუ. ეს სტილი 1964 წელს შექმნა კანჩო მასუტაცუ ოიამამ — 10 დანიანმა იაპონელმა ოსტატმა. მან გააერთიანა ტრადიციული იაპონური კარატეს სტილების სწორხაზოვანი მოძრაობები, ჩინური საბრძოლო ხელოვნების — კემპოს წრიული მოძრაობები და ინდური იოგას სუნთქვის ხელოვნება, რის შედეგადაც მიიღო სრულიად ახალი რეფორმისტული სტილი — კიოკუშინკაი. დღეს მსოფლიოს ასამდე ქვეყანაში 10 მილიონზე მეტი კაცი ვარჯიშობს ამ სტილით და ითვლება დედამიწის ერთ-ერთ უძლიერეს სკოლად.

გასული წლის გაზაფხულზე თბილისში შეიქმნა საქართველოს კიოკუშინკაი კარატეს ფედერაცია (პრეზიდენტი გურამ ბარაბაძე, ვიცეპრეზიდენტი ავთანდილ შენგელია). აქვე უნდა ითქვას, რომ ავთანდილ შენგელია ამ სახეობის ერთ-ერთი ძლიერი სპეციალისტია: შარშან კიევში გამართულ შეკრებაზე რომელსაც ატარებდნენ ამ სტილის მაღალი რანგის იაპონელი ოსტატები როიამა და სხვები (6-7-8 დანის მფლობელები) მან ერთადერთმა დაიმსახურა შავი ქამარი (პირველი დანი).

საქართველოში ამ პროგრესული სტილის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს კლუბებს „ორბს“ და „ანდამატს“ (ხელმძღვანელები: გურამ ბარაბაძე, ალექსანდრე გორგასლანიძე). გასული წლის მიწურულს ამ კლუბში ჩატარდა ბავშვთა პირველი ჩემპიონატი.

აღსანიშნავია ისიც, რომ ამ სტილით საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში თუ რაიონებში ინტენსიურად ვარჯიშობენ. სწორედ მათ საყურადღებოდ ფედერაციას სურს განაცხადოს, რომ **ყოველ შაბათ-კვირას, 3 თებერვლის ჩათვლით, დღის 11 საათიდან 14 საათამდე, ვაკეში, 26 მაისის სახელობის სტადიონის ტერიტორიაზე, ფედერაციის შტაბ-ბინაში მათთვის ვინც ვარჯიშობს კიოკუშინკაი კარატეს სისტემით და სურს მიიღოს მონაწილეობა აღნიშნული სტილის საქართველოს პირველ ჩემპიონატში, ტარდება ატესტაცია და სამსახურ ხემინარები.**

**საქართველოს კიოკუშინკაი კარატეს ფედერაციის სახელით
საჩინო კიკაბიძე**

მცირე საწარმო „ორლი“ გთავაზობთ ნებისმიერ IBM PS XT-თან თავსებადი უცხოური წარმოების ავტომატიზირებულ სამუშაო ადგილებს პროგრამული უზრუნველყოფით. მიწოდება მოხდება ერთი დღის განმავლობაში. შესყიდვა როგორც გადარიცხვით, ასევე ნაღდ ანგარიშზე. პროდუქციის ღირებულება საბაზრო ფასზე მნიშვნელოვნად ნაკლებია.

საწარმო სამუშაოდ იწვევს კვალიფიციურ ელექტროშემდუღებლებს.

ჩვენი მისამართია: ბუდაპეშტის 1.

☎: 37-58-25
37-06-64

სარეკლამო სააგენტო
„არგო-ბლიკი“

## კიდევ ერთი ირაკლი...

### (ირაკლი ხაზარაძის ხსოვნას)

ამბობენ, თითქოს ამქვეყნად ყოველივე კანონზომიერად ხდება, თანაც, ცოდვა და მადლი ერთმანეთს აწონასწორებსო. ნეტავ რა დაირღვა ამ უსამველო სამყაროში ისეთი, შენისთანა კაცის სიკვდილი რომ გახდა საჭირო?!

— მთელი ორმოცი წლის ექიმობის მანძილზე ავადმყოფი ასე არ დამნანებია, რა კეთილშობილი ბიჭი ყოფილაო — თვალცრემლიანი ამბობდა ჭარმაგი პროფესორი.

შენ ვერ წარმოიდგენ რა ჯოჯოხეთი იყო ჩვენთვის ბედისწერასთან ბრძოლის ეს ორი კვირა — 1 იანვრიდან 14 იანვრამდე. მთელი ცხოვრების მანძილზე ალბათ ეს ახალი წელი იქნება ჩვენთვის ყველაზე საზარელი გასახსენებლად.

რა უბედო ყოფილხარ თურმე, სიკვდილში მაინც გქონოდა ბედი. შენისთანა ვაჟკაცები დღეს საქართველოსათვის იხოცებიან. შენც ხომ ყოველთვის იქ იყავი, სადაც ყველაზე მეტად უჭირდა შენს სამშობლოს.., და დღესაც, როცა კიდევ ერთხელ ინება ღმერთმა ქართველობის მზადყოფნის გამოცდა, კიდევ ერთხელ შენს მეგობრებთან ერთად გაიწიე სამშობლოს დასაცავად, მაგრამ მუხთალი ყოფილა თურმე ბედისწერა... ვერსად გაექცევი...

რაღაც საბედისწერო შინაარსი დაჰყვა სახელს — ირაკლი. ირაკლი დოლიძე, ირაკლი დოჩანაშვილი, ირაკლი ხაზარაძე. ვერცერთს ვერ გავუფრთხილდით. ასეა, როცა ჩვენს გვერდით აღარ არიან, მაშინღა ვგრძნობთ როგორ ვუყვარებივართ და როგორ გვყვარებია...

ირაკლის მწარე გაკვეთილი მარადჟამს გაგვახსენებს უცილობელ ჭეშმარიტებას.

— გავუფრთხილდეთ ერთმანეთს და გვიყვარდეს მოყვასი ჩვენი!

მეგობრები

გამომცემლობა „მერანი“ და დავით სარაჯიშვილის სახელობის საქველმოქმედო საზოგადოება „ლომისი“ იწყებენ ქართული ენის ისტორიული ლექსიკონის ოცტომეულის გამოცემას.

I ტომს მკითხველი მიიღებს 1991 წელს.

აბონემენტების შეძენა შეგიძლიათ 21 იანვრიდან გამომცემლობა „მერანის“ პირველ სართულზე.

აბონემენტი გაიცემა ორგანიზაციიდან წარმოდგენილი კოლექტიური შეკვეთების საფუძველზე.

ტირაჟი შეზღუდულია. გთხოვთ, მსურველებმა დროზე მოგვაკითხონ აღნიშნულ მისამართზე.

## ვიზების სათარგმნელად და ანკეტების შესავსებად

გთხოვთ მიმართოთ ფირმა „ზევსს“, რომლის ადგილსამყოფელიც გადატანილია პეტრიაშვილის ჩიხიდან პეტრიაშვილის ქ. № 3-ში. ვიზების თარგმნა ხდება ერთ დღეში. ფირმა „ზევსი“ თქვენ მიგიღებთ ყოველდღე, დასვენების დღეების ჩათვლით, 9-დან 21 საათამდე.

გთხოვთ გვეწვიოთ.


ახალგაზრდა ივერიელი

Общественно-политическая молодежная газета «Ахалгазрდა Ивериели»

ტელეფონები: მისაღები — 98-97-81; პასუხისმგებელი მდივანი — 98-81-56; წერილების განყოფილება — 98-86-49.

გაზეთი გამოდის კვირაში ხუთჯერ: სამშაბათს, ოთხშაბათს, შაბათს

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბა, თბილისი, მ. კოსტავას 14, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხაზარაულის 2ს.

2, 3, 4, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15

Наш индекс 66400

რედაქტორი მერაბ ბალარჯიშვილი

რედაქციის მისამართია: ქ. თბილისი — 380096. მ. კოსტავას ქ. № 14.